კვალი

XI. ყოველკვირეული გაზეთი XI.

№ 17. კვირა, 20 აპრილი 1903 წლისა. № 17

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, საპიტრის ქუჩაზე, № 35. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „КВАЛИ“.

შინაარსი: აკაკანებული მამულიშვილები, ყვირილელისა.—ფინლიანდიის საქმეები.—კორესპონდენციები.—სხვადასხვა ამბები.—რუსეთის ცხოვრება—საზღვარგარეთ.—მშიერი, ლექსი ვ. რუხაძისა. სამშობლოს ცაზე, რიგოლეტოსი.—ლექსი, დ. თომაშვილისა.—აზრი, მოთ. ლ. ანდრეევისა, თარ. ბ. ლომთათიძისა.—ცოტა რამ სოფლის მასწავლებლებზე, ნ. ახმეტელაშვილისა.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—წერილი რედ. მიმართ.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ.

მოვაგონებთ ჩვენ ხელისმომწერლებს, რომ, ვინც ამ თვეში გაზეთის ხვედრ ფულს არ შემოიტანს, მომავალი თვიდან გაზეთი აღარ გაეგზავნება.

აკაკანებული მამულიშვილები.

ჩვენმა წერილმა მამულიშვილობის შესახებ ააკაკანა ორი გაზეთი—„ცნობის ფურცელი“ და „ივერია“. მათ შორის ის მსგავსებაა, რომ ორივე მეტათ გაუწიწმატებია ჩვენს წერილს და ორივე ულოღიკოთ ბორძიკობს აღძრულ კითხვის შესახებ ლაპარაკის დროს,—ხოლო ის განსხვავებაა, რომ „ცნობის ფურცელს“ სრულებით ვერ გაუგია ჩვენი წერილის აზრი და ისე სტყუის, „ივერია“ კი კარგათ მიმხვდარა, რაშია საქმე, და მაინც სტყუის.

„ცნობის ფურცლის“ რედაქციამ მოწინავე წერილი გვიძღვნა ამ სათაურით: „საოცარი გაუგებრობა“ (№ 2115). „გაოცებულია“ რედაქცია, რასაკვირველია, ჩვენი „გაუგებრობით“. ჩვენ წერილს თურმე მიზნათ ჰქონია იმის გამორკვევა, თუ „როგორ ესმოდა და ესმის ჩვენს ძველ თაობას მამულიშვილობა“. და აი, ცნობის ფურცელს მოჰყავს ჩვენი პირველი წერილის შინაარსი. აქ ყველაფერი ის, რაც ჩვენ ძველ ცხოვრების წარმომადგენელ ჯგუფზე, თავად-აზნაურობაზე, გვაქვს ნათქვამი, მას გარდააქვს ჩვენს ძველ მოღვაწეთა თაობაზე. ჩვენ არ ვიცით,—დასძენს ამას რედაქცია,—რამდენათ მართალია ყვირილელი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის მოღვაწეების დაფასებაში, რადგანაც ეს დრო შესწავლილი არა გვაქვსო, ხოლო ამ საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეებს კი ცილს სწამებსო. „რაც შეეხება ჩვენ ეხლანდელ „მამებს“ (მესამოცე წლების მოღვაწეთ—ილიას, აკაკის, ნიკოლაძეს და სხვებს), ერთის თქმა თამამად შეიძლება,—იმ თავითვე შეურიგებელი მტრები იყვენ ბატონ-ყმობისა და თავად-აზნაურობის უპირატესობრივ მდგომარეობისა“-ო, ამბობს რედაქცია, და თან უმატებს—„ამას, მგონი, ციტატებით დამტკიცება არ ეჭირვებაო“.

რამდენათ შესაწყნარებელია ქართულ რედაქციისაგან ეს მისგანვე გულწრფელათ აღსარებული უცოდინარობა ისეთი მნიშვნელოვან ხანის, როგორიც იყო ჩვენი ქვეყნისათვის მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი,—ამ კითხვის გადაწყვეტა თვით მკითხველისათვის მიგვინდვია. ჯერჯერობით, სანამ „ცნობის ფურცლის“ რედაქცია არ შეისწავლის აღნიშნულ ხანას და ჩვენგან გამოთქმულ აზრს იმის შესახებ არ დაარღვევს, ჩვენ არ ვაპირობთ ამ ჩვენი შეხედულობის შეცვლას.

ახლა კი იმ „გაუგებრობას“ დავუბრუნდებით, რომელსაც ასე განუცვიფრებია „ცნობის ფურცელი“. ჩვენ,—როგორც ამტკიცებს ის,—სრულებით ვერ გამოგვირკვევია „მეტად საგულისხმო და დიდმნიშვნელოვანი კითხვა—როგორ ესმოდა და ესმის ჩვენს ძველ თაობას მამულიშვილობა“.

უნდა კიდევ უფრო გავაოცოთ „ცნობის ფურცლის“ რედაქცია და მოვახსენოთ, რომ ჩვენ არც მიგვაჩნია ეს გარემოება დიდ დანაშაულათ.—ჩვენს წერილს სულ სხვა, და არა ეს ისტორიულ-ლიტერატურული, მიზანი ჰქონდა.

ჩვენ ქვეით დავინახავთ, რა გარემოებამ შეიყვანა ასეთ შეცდომაში შუბლმაგარი რედაქცია, ჯერ კი საჭიროა თვით მისგანვე გამოთქმული აზრი მესამოცე წლების მოღვაწეთა შესახებ განვიხილოთ.

აკაკი წარმომადგენელია მესამოცე წლების მოღვაწეების, მისი მამულიშვილობა მათი მამულიშვილობა არის და რომ მესამოცე წლების მოღვაწეები იმ თავითვე ბატონ-ყმობისა და თავად-აზნაურობის უპირატესობრივ მდგომარეობის შეურიგებელი მტრები იყვენ, ამას მგონი ციტატებით მტკიცება არ ეჭირვებაო,—ამბობს „ცნობის ფურცელი“.

რომ „იმ თავითვე“ ეს მართლა ასე იყო, ამას ოღონდაც რომ მტკიცება არ ეჭირვება, ვინაიდან ეს უკვე დამტკიცებულია ვრცელი ციტატებით „კვალის“ თანამშრომლის ნ. ჟორდანიას ცნობილ „პრესაში“. მაგრამ რომ ეს „შემდეგაც“ და „ბოლომდისაც“ ასე დარჩა, ამას კი სწორეთ კარგი დამტკიცება ეჭირვება. ეს სწორეთ „ციტატებით“ უნდა დასაბუთ-

დეს და უნდა დარღვეულ იქმნას, რასაკვირველია, ციტატებითვე, შემდეგი: რომ მესამოცე წლების მოღვაწეთა გუნდმა, სანამ დემოკრატიული აზროვნების წარმომადგენელი იყო, ვერ ნახა ჩვენს საზოგადოებაში რეალური ნიადაგი; რომ ამ გუნდის პროგრესიული ლიტერატურული მოძრაობა შეეჯახა კონსერვატიულ საზოგადოებრივ მოძრაობას და დამარცხდა; რომ აქ დამარცხებულმა სწორეთ იმ წარმომადგენლებმა მესამოცე წლებისამ, რომელთაც „ცნობის ფურცელი“ იხსენიებს—ილიამ, ნიკოლაძემ,—წინანდელ თავის დროშას ზურგი შეაქციეს; რომ „ივერიამ“, რომელიც სწორეთ ილიას მეთაურობით გამოვიდა საზოგადოების წინამძღოლათ, „თქვა: თუ კი ჩვენი ნიადაგი თავადა-ზნაურობაა, აზროვნობაც თავად-აზნაურული უნდა გვქონდესო, და ის იყო, „საქართველოს მოამბის“ და „დროების“ დემოკრატიული „გატაცებანი“ უარჰყო და შეუდგა მოწინავე წოდების გულის მოგებას. ამ გზაზე სასიარულოთ მოიმხრო მან „დროება“ და ამასვე ადგია დღემდის“.

ჩვენ ვთქვით, ციტატებით უნდა დაირღვეს ეს აზრიო, იმიტომ რომ ესეც ვრცელი ამონაწერებით არის დასაბუთებული იმავ „პრესაში“.

დიახ, ჩვენ არ გვქონია მიზნათ გამოგვეკვლია ჩვენი ძველი მოღვაწეების შეხედულობა მამულიშვილობაზე, თორემ აი, ამნაირსავე ევოლიუციას აღვნიშნავდით ჩვენს წერილში, რადგანაც ეს, ჩვენი ფიქრით, ერთათერთი სწორი შეხედულობაა ამ მოღვაწეებზე და ჯერ არავისაგან დარღვეული არ ყოფილა.

მხოლოთ იმის ძახილი კი, ეს მოღვაწეები იმ თავითვე პროგრესისტები იყვნო, არაფერს არ ხსნის და „ცნობის ფურცლის“ რედაქციას უფრო შეეფერება.

ჩვენს წერილს მიზნათ ქონდა გამოერკვია ნამდვილი შინაარსი იმ მიმართულების, რომელიც დღეს ჩვენში მამულიშვილობის სახელით არის მონათლული და რომელსაც ხალხის სამსახურს უპირდაპირებენ. ეს მიმართულება, როგორც ნათქვამი გვქონდა, ახალი არ არის, ის წარმოადგენს ძველი დროის დანატოვარს, მისი მატარებელი საზოგადოებრივი ჯგუფი ერთ დროს ცხოვრებას ბატონობდა, დღეს კი დაქვეითებულია და ცხოვრების განვითარებით უარყოფილი. ჩვენ ნათლათ გვქონდა ნაჩვენები, რომ ვლაპარაკობთ საზოგადოებრივ მოძრაობაზე, საზოგადოებრივ ჯგუფის მიმართულებაზე, და არა რომელიმე ლიტერატურულ გუნდის მოღვაწეობაზე. ამ მიმართულების გამომსახველათ ჩვენ აკ. წერეთლის საუკეთესო ლექსები დავასახელეთ. მართალია, აკაკი წერეთელი ეკუთვნოდა იმ მოღვაწეთა გუნდს, რომელიც, როგორც დავინახეთ, „იმ თავითვე“ პროგრესისტები იყვენ; მართალია, დემოკრატობით გატაცების დროს მანაც დასწერა რამდენიმე ლექსი ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, მაგრამ ეს კილო სრულებით არ არის დამახასიათებელი მის პოეზიისათვის. პირიქით, ძირითადი ძარღვი ამ პოეზიის არის უკმაყოფილობა ახალი ცხოვრებით, უარყოფა მისი არა მომავლის, არამედ წარსულის სახელით. თანამედროვე ჩვენს ცხოვრებას უპირდაპირდება არა დაწინაურებულ ქვეყნებით შემუშავებული იდეალი, არამედ ჩვენი წარსულით შობილი და უკვე დანგრეული. ეს, თუ გნებავთ, რომანტიკოსობა არის, მაგრამ რომანტიკოსობა კონსერვატიული. და აი, ჩვენც აკაკის პოეზია ავიღეთ, როგორც დამახასიათებელი საზოგადოებრივ ჯგუფის პსიხოლოგიის, და არა როგორც გამომხატველი იმ ლიტერატურულ მიმართულების, რომლის წარმომადგენლები „სამოციან წლების მოღვაწენი“ არიან. უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ ვალდებული ვიქნებოდით აღგვენიშნა ზევით მოყვანილი ხასიათი და ევოლიუცია ამ მოღვაწეობისა. პირველ შემთხვევაში კი ეს მეტი იყო, და არც ვცდილვართ ამას. აი უბრალო ახსნა იმ გარემოების, რომელმაც გააოცა „ცნობის ფურცლის“ რედაქცია. ვინ არის დამნაშავე გაუგებრობაში, ეს ახლა ადვილი გადასაწყვეტია, ადვილათ ასახსნელია ისიც, თუ რამ შეიყვანა „ცნობის ფურცელი“ ასეთ სასაცილო შეცდომაში. ჩვენ ვახსენეთ ალ. ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, და აი, „ცნობის ფურცელს“ უფიქრია, ავტორს მიზნათ აუღია ჩვენი მოღვაწეების დაფასება, მათი შეხედულობების გამორკვევა და სხვისი არ ვიცით, მესამოცე წლების მოღვაწეთა შეხედულობა კი ვერ გაუგია—ისინი იმ თავითვე პროგრესისტები იყვენო. აი ერთი გარემოება, რომელმაც შეაცდინა „ცნობის ფურცელი“. მეორე მხრით, ჩვენ ხშირათ ძველ ცხოვრების წარმომადგენელ ბატონობას შეჩვეულ ჯგუფს „მამებს“ ვუწოდებთ, „ცნობის ფურცელს“ კი, რომელსაც ალბათ, გაუგონია, რომ ტურგენევის „მამებსა და შვილებს“ შემდეგ მოღვაწეთა ძველ თაობას რუსეთშიაც და ჩვენშიაც ხშირათ „მამების“ სახელით იხსენიებენ, უფიქრნია, ალბათ აქაც ყოველგან იმათზე არის ლაპარაკიო, და აცხადებს: „რაც შეეხება ჩვენს ეხლანდელ „მამებს“—მესამოცე წლების მოღვაწეთ,—ილიას, აკაკის, ნიკოლაძეს და სხვებს“... იმ თავითვე პროგრესისტები იყვენო“. გამოდის, რომ როდესაც ჩვენ ვამბობდით „მამების“ შესახებ,—მთელი ქვეყნის ეკონომიური სიმდიდრე მარტო ამ ჯგუფს ჰქონდა ჩავარდნილი ხელთ და მერე გამოეცალაო, მხედველობაში „მესამოცე წლების მოღვაწენი—ილია, აკაკი, ნიკოლაძე და სხვები“ გვყავდა. არა, „ცნობის ფურცელო?“

დასასრულ უნდა ერთი შენიშვნა მივცეთ „ცნობის ფურცელს“. ის ამბობს ჩვენს შესახებ: „...რომ ძველ თაობის მთელი მამულიშვილობა მხოლოთ თავად-აზნაურობის ძველ დიდების ტირილია, ავტორი იმით ამტკიცებს, რომ თვითონ ქართველ ხალხს სატირალი და საგოდებელი არაფერი ჰქონდა“. და შემდეგ მოჰყავს ჩვენი წერილიდან ეს ადგილი: „ყოველ უფლებას მოკლებულს, ფეოდალურ უღლით წელგატეხილ უმრავლესობას ყმის ბორკილებს გარდა არა დაუკარგავს რა; მაშასადამე მისთვის წარსული უფრო ბნელი იყო, ვიდრე დღევანდელი დრო არის“.

რათ დასჭირდა აქ „ცნობის ფურცელს“ ერთი გარემოების დამალვა, რომელიც ჩვენს წერილში ნათლათ არის გამორკვეული. რათ არ იხსენიებს „ცნობის ფურცელი“, რომ ჩვენ ალ. ჭავჭავაძის ხანა გვაქვს შედარებული დღევანდელ დროსთან და იმას ვამბობთ, რომ მას აქეთ (ე. ი. ალ. ჭავჭავაძის ხანას აქეთ) ქართველობის უმრავლესობას ყმის ბორკილებს გარდა არა დაუკარგავთ-რათქო. რომ ჩვენ ამ ორ ხანას ვუპირდაპირებთ ერთმანეთს, ვკითხულობთ: „ვინ რა დაკარგა ამ დროს განმავლობაში“?—და ამ კითხვაზე ვიძლევით იმ პასუხს, რომელიც მოყავს „ცნობის ფურცელს“. რათ დამალა ეს „ცნობის ფუცელმა“? იმისთვის განა, რომ შემდეგ ეთქვა: „ასეთ უკუღმართ შეხედულობას პირველათ შევხვდით ქართულ მწერლობაში გიორგი მუხრანსკის ცნობილ წიგნაკის შემდეგ“-ო? ვაფრთხილებთ „ცნობის ფურცელს“. ერთხელ ასეთი საქციელი შეიძლება გაუგებრობათ ჩაეთვალოს, ხოლო თუ განმეორდა, მაშინ მის მაგარ შუბლს დააკრავენ წაუშლელ დაღს სიმდაბლისას.

—

„ივერიასთან“ ლაპარაკი უფრო მოკლე იქნება. ტყუილათ კი არ ამბობენ რუსები „იცის კატამ, ვისი ძეხვიც შეუჭამია“-ო. „ივერიამაც“ იცის, რაგვარ „მამულიშვილობა-

ზე" არის ლაპარაკი, როდესაც მას შეეხებიან, და მხოლოთ იმას იძახის ულეველის პირით—დამნაშავე არა ვართ.

ჩვენ გავშინჯავთ ულეველის წერილის *) ყოველ მუხლს და ვნახავთ, ახერხებს „ივერია" თავის გამართლებას თუ არა. ულეველი წერს: „ბატონი ყვირილელი თავის ფილოსოფიას იქიდან იწყებს, რომ მამულიშვილი მხოლოდ იმას უნდა ვუწოდოთ, ვინც ხალხს ემსახურება. განა „ივერია" ამ აზრის წინააღმდეგია? თუ წინააღმდეგია, დაგვისახელეთ ერთი მაგალითი მაინც". მაგალითი გსურთ? სიამოვნებით. № 79-ში „ივერია" მეთაურ წერილში ამბობს: „შეიძლება, ზოგიერთი სჯულის მეცნიერი კეთილშობილი ფიქრობდეს, ქართულის ენის სწავლების საჭიროება მთელი ქვეყნის საჭიროებას წარმოადგენს და ჩვენს წოდებას ხელი არ მიუწვდება ამ საქმეზეო, მაგრამ როცა ჩვენში თავად-აზნაურობა ათასობით ითვლება, მას დასი აღარ ეწოდება. იგია მის უმეტესი, იგია ერის ნაწილი, იგია თვით ერი..." აი, ბატონო, თუ კი თვით ერს თავად-აზნაურობა შეადგენს (რომელსაც „ივერია" სამართლიანათ „თავისას" უწოდებს—ჩვენი წოდება ხართ)...

ბატონო ულეველო, მაგალითი გსურდათ, რას იტყვით ამ მაგალითზე?

ულეველი განაგრძობს თავის მართლებას: „ივერიელები" პესსიმისტები არიანო, მომავლის იმედი არა აქვთო. სცდებით, ბ-ნო ყვირილელო". არა, ბ-ნო ულეველო, არ ვცდები, აი საბუთიც. იმავ 79 №-ის მეთაურში „ივერია" სწერს: „...ფიქრი მართებს განსაკუთრებით ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას, მიტომ რომ უფროს ერთ შემთხვევაში მათ შორის არა თუ შვილები, მშობლებიც კი ვეღარ ლაპარაკობენ ქართულს... ასეთი ბედი ეწია საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილსა, ასეთი ბედი ეწია ჩვენს დედა ქალაქს თბილისსა, სადაც მაჯა უცემდა ჩვენს მოქალაქობრივ ცხოვრებას". უკაცრავათ, ბატონო ულეველო, მაგრამ თუ იმის ფიქრი, რომ „ერს" თანდათან ავიწყდება მშობელი ენა, რომ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს (რასაკვირველია, მის „ერს") კიდევაც ეს ენა დავიწყნია, ამის ფიქრი თუ თქვენთვის პესიმისტობა არ არის, მაშ რაღა ჯანდაბა ყოფილა ეს პესიმისტობა...

ულეველი მეტათ ცხარობს თავის მართლების დროს: „ივერიელები" უკან იხედებიანო, თავად-აზნაურულ უფლებათა აღდგენას არიან მოწადინებულნიო, ცილს სწამებთ „ივერიელებს", ბ-ნო ყვირილელო. დიაღ, ნება გვაქვს თქვენც ლიტერატურულ ცილის მწამებელთა შორის მოგაქციოთ, ვიდრე თქვენს ნათქვამს არ დაამტკიცებთ". რადგანაც ბ-ნი ულეველი ასე გაცხარებულა, ჩვენ მზათა ვართ ერთხელ კიდევ დავამტკიცოთ ის, რაც ბევჯერ ყოფილა უკვე დამტკიცებული. ჯერ „უკან ხედვის" შესახებ. „ივერია" ბრძანებს (ჩვენ სულ 79 №-ის მეთაურზე ვლაპარაკობთ, რადგანაც ძველი ნომრების საჩხრეკათ არ გვცალია): „ჩვენს დედა-ქალაქს თბილისსა, სადაც მაჯა უცემდა ჩვენს მოქალაქობრივ ცხოვრებას"—ის ბედი ეწია დღეს, რომ იქ ქართული ენაც აღარ ისმისო.

ბ-ნო ულეველო, იმის თქმა, რომ წინათ უცემდა თბილისში ჩვენს მოქალაქობრივ ცხოვრებას მაჯა და დღეს აღარ უცემსო, ნუ თუ ამის თქმა თანამედროვე ცხოვრების შესახებ, რომელმაც სწორეთ მოქალაქობრივ განვითარებას შეუყენა ჩვენი ხალხი,—არ მოასწავებს „ივერიისაგან" ახალი ცხოვრების უყურადღებობას და ჯიუტათ წარსულში, მარტო წარსულში ყურებას? ახლა მეორე „ცილის წამება" გავარჩიოთ. ულეველი ამბობს, თავად-აზნაურულ უფლებათა აღდგენას „ივ."-ბი მოწადინებული არ არიან, ეს ცილის წამება არისო.

*) „კვალის" ახალი პუბლიცისტი"—„ივერია" № 81.

მაგრამ როდესაც „ივერია", თავად-აზნაურობას, „მთელ ერათ" აღიარებს, განა იმაზე ლაპარაკი კიდევ შეიძლება, სურს თუ არა „ივერიას" აზნაურობის უფლებათა აღდგენა.

ამნაირათ, „ივერია" ვერც ერთ მუხლში თავს ვერ იმართლებს, როგორც დავინახეთ. მაგრამ ულეველი რის ულეველი იქნებოდა, რომ ამით ჩვენთან სალაპარაკო მასალა გამოლეოდა. ის ამდგარა და ახლა თვითონ მოყოლია ბრალდებას. თქვენ მოუმზადებელი ხართ, თქვენ ცრუ ოპტიმისტები ხართო,—გვეუბნება. ეს მისი რისხვა გამოუწვევია ჩვენგან გამოთქმულ აზრს, რომ ალ. ჭავჭავაძეს დროს აქეთ ჩვენს ხალხს არა დაუკარგავს რა და კიდევაც შეიძინაო. „იცით ბ-ნო ყვირილელო, რა დაკარგა ჩვენმა ხალხმა? ის, რომ განათლების გზაზე ჯერ პირველი ბიჯიც ძლივს გადაუდგამს; რომ ასის წლის განმავლობაში ვერ მოიპოვა შესაფერი ეკონომიური სიმდიდრე და სიღარიბისაგან დღესაც წელში მოხრილი და დაბეჩავებულია, რომ ვერ გაიზარდა ისე, როგორც მოსალოდნელი და სასურველი იყო", ამბობს ულეველი და ადარებს ჩვენს ხალხს იმ ვაჟკაცს, რომელსაც თავის ხანგრძლივ სწავლის შემდეგ ანა-ბანას მეტი არა შეუსწავლია-რა.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ნახტომი ჩვენს ხალხს ამ საუკუნის განმავლობაში არ უქნია: ნახტომები საზოგადოთ შეუძლებელია ისტორიაში. მაგრამ რომ ის ფეოდალურ ჯაჭვებით სულშეხუთული ამ საუკუნის დასაწყისში დღეს ახალი ცხოვრების გზას დაადგა,—ესეც კარგათ ვიცით. რომ მან ამ საუკუნის განმავლობაში შექმნა თავის სიღრმეში ისეთი საზოგადოებრივი ძალა, რომელმაც დღეს თავის მაგარ მხრებზე შეიდვა პროგრესის საქმე, და რომ ამით შეამუშავა რეალური პირობები ჩვენი ეროვნული აღორძინების და წინმსვლელობის, ესეც ცხადია ჩვენთვის, რამეთუ გვაქვს თვალნი ხედვათ. ჩვენ რომ ის გვწამდეს, ჩვენი ხალხი დავაჟკაცდა და ანბანის მეტი არა უსწავლია-რაო, მაშინ ხომ „ივერიასავით" დავკარგავდით ყოველ სასოებას და იმედს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ არც სხვა ერებს, იმ გზაზევე გასულს, რომელსაც დღეს ჩვენი ხალხი ადგია, მეტი სისწრაფით არ უვლიათ იმ გზაზე, და ეს გვინერგავს გულში ოპტიმიზმს, ეს გვაიმედებს ჩვენ. აქ ტირილი კი არა, დახმარებაა საჭირო, და ჩვენც ამას ვამბობდით და კვლავ ვამბობთ. თუმცა ის ჩვენი წერილი, რომელმაც გამოიწვია ეს ლაპარაკი, მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა დაუმთავრებელი დარჩა, მაგრამ ჩვენი შეხედულობა აღძრულ კითხვაზე ცოტათი მაინც გამოირკვა, და...

ყვირილელი.

ფინლიანდიის საქმეები

„პრავიტ. ვესტნიკ."-ში დაბეჭდილია შემდეგი უმაღლესი რესკრიპტი ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის სახელზე: „განვიზრახეთ რა მჭიდრო შეკავშირება ჩვენის სახელმწიფოს ნაწილებისა, ჩვენ აღვნიშნეთ საშუალებანი, რომელთა შემწეობით ფინლიანდია უნდა გაუერთიანდეს იმპერიის შიდა ნაწილს, მაგრამ საშუალებათა განხორციელებას თავხედათ წინააღუდგა ფინლიანდიის მცხოვრებთა ერთი ნაწილი. ბოროტგანმზრახველებმა მშვიდობიან ხალხის შესაცდენათ დაარღვიეს ცხოვრების წესიერი მსვლელობა; ისინი ძალმომრეობასაც კი არ მოერიდნენ იმათ წინააღმდეგ, ვინც თავის მოვალეობას არ უღალატა. სხვა დროს, ჩვეულებრივ პირობებში, დარღვეულ წესიერების აღდგენა შეიძლებოდა დამნაშავეთ სამართალში მიცემით და სხვა კანონიერის წესით. მაგრამ ახლა ეს ღონისძიებანი გამოუსადეგარია, რადგან ზოგიერთი მოხელე და უმ-

თავრესად სასამართლო დაწესებულებანი არათუ არ იცავენ წეს-რიგს, არამედ ხშირათ თითონვე აძლევენ მავნე მაგალითს კანონის დარღვევისას. მოვისურვეთ რა ფინლიანდიაში წესიერების აღდგენა და ხალხისათვის ბოროტგანმზრახველთა გავლენის აცდენა, ჩვენ კეთილათ ვსცანით დროებით, სამის წლით, მივანიჭოთ ფინლიანდიის დიდ სამთავროს უმაღლეს მართველობას განსაკუთრებული უფლებანი სახელმწიფო წესიერებისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დასაცავად. ეს უფლებანი აღნიშნულია ჩვენ მიერ 20 მარტს (2 აპრილს) დამტკიცებულ დადგენილებაში.

გიგზავნით რა თქვენ ამ დადგენილებას აღსასრულებლად, ვავალებთ ამასთანავე ფინლიანდიის სენატს რაც შეიძლება ჩქარა დაასრულოს ფინლიანდიის სასამართლო წეს-წყობილებისა და დებულების გადაშინჯვა.

ნამდვილზე მისი უდიდებულესობის საკუთარის ხელით მოწერილია:

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲜ.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ფინლიანდიაში სახელმწიფო წესიერებისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დასაცველ ღონისძიებათა შესახებ.

ხელმწიფე იმპერატორმა, ფინლიანდიის დიდ სამთავროს მინისტრ სტატს-სეკრეტარის უქვეშევრდომილესის მოხსენების თანახმად, 1903 წლის 20 მარტს (2 აპრილს), ცარსკოე სელოში, კეთილ ინება და დამტკიცა შემდეგი დროებითი დადგენილება ფინლიანდიაში სახელმწიფო წესიერებისა ᲗᲐ საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დასაცველად:

1. ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორს ნება ეძლევა:

ა) დროებით დახუროს სასტუმროები, წიგნის მაღაზია-საწყობები და საზოგადოთ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი;

ბ) აღკრძალოს ყოველგვარი საზოგადო და კერძო კრება;

გ) დახუროს კერძო საზოგადოებანი და მათი განყოფილებანი;

დ) აუკრძალოს ფინლიაიდიაში ცხოვრება იმ პირთ, რომელთაც მავნეთ იცნობს სახელმწიფო წესიერებისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობისათვის.

2. ის პირნი, რომელთა ფინლიანდიიდან რუსეთში გადასახლებას გადასწყვეტს გენერალ-გუბერნატორი, გადაეცემიან შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელსაც ნება ექნება თავის შეხედულობით პოლიციის ზედამხედველობას დაუქვემდებაროს ეს პირნი თანახმად არსებულის კანონებისა. გენერალ-გუბერნატორის ან გუბერნატორის მიწერილობით, ეს პირნი უნდა დაატუსაღონ საზოგადო პოლიციის ან ჟანდარმთა კორპუსის მოხელეებმა და საპატიმროში დაამწყვდიონ დანიშნულ ადგილას გაგზავნამდე. აგრეთვე უნდა დაპატიმრებულ იქმნან ისინი, ვისაც ფინლიანდიაში ცხოვრება აღეკრძალა და დანიშნულ ვადაზე არ წავიდა ფინლიანდიიდან.

3. იმ პირთ, ვინც 1-ლ და მე-2 მუხლის თანახმათ ფინლიანდიიდან გაძევებულ იქნებიან, შეიძლება მოესპოთ სახელმწიფო პენსია, მაგრამ ამისთვის საჭიროა უმაღლესი ნებართვა.

4. ფინლიანდიის გუბერნიების გუბერნატორებს ნება ეძლევათ ადმინისტრატიულის წესით გადასწყვიტონ საქმეები იმათ შესახებ, ვინც დაარღვევს უმაღლეს ბრძანებას საზოგადო ყრილობათა შესახებ ან არ აასრულებს გუბერნატორების მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათ და პოლიციის იმ წესებს, რომელნიც საჯაროთ იქმნებიან გამოცხადებულნი. დამნაშავეთ გუბერნატორები მიუსჯიან ჯარიმას, თანახმათ არსებულის სათანადო წესისა, მაგრამ არა უმეტეს 400 მარკისა თითო დამნაშავეს; თუ ვინმემ ჯარიმის გადახდა ვერ შეიძლო, დაპატიმრებულ იქნება, თანახმათ სისხ. სამართ. დებ. მე-II თავის მე-ნ §-ისა. გუბერნატორების დადგენილებაზე საჩივრის წარმოდგენა გენერალ-გუბერნატორთან შეიძლება ᲗᲠᲘ—ᲮᲣᲗᲘ ᲓᲦᲔᲗᲐ განვლობაში; გენერალ-გუბერნატორის გარდაწყვეტილება ამ საჩივრების გამო საბოლოოთ ჩაითვლება და აღარსად მისი განსაჩივრება აღარ შეიძლება.

5). საქალაქო მაგისტრატები, აგრეთვე საქალაქო და სასოფლო სათემო მართველობანი ექვემდებარებიან გენერალ-გუბერნატორისა და გუბერნატორების ზედამხედველობას შემდეგის წესით:

ა) იმ პირთა შესახებ, რომელნიც არჩეულ იქნებიან ბურგომისტრათ, რატმანათ, საქალაქო თვითმართველობის რწმუნებულთა თავმჯდომარეთ ან თავმჯდომარის ამხანაგათ, აგრეთვე საქალაქო და სასოფლო სათემო მმართველობის სხვა თანამდებობაზე, უნდა ეცნობოს ადგილობრივ გუბერნატორს; ამისი ნება იქმნება დაამტკიცებს თუ არა წარმოდგენილ კანდიდატს. თუ არჩეული ორჯელ არ იქმნა დამტკიცებული, თანამდებობის პირს ნიშნავს სენატის სამეურნეო დეპარტამენტი გენერალ-გუბერნატორთან შეთანხმებით.

ბ) სენატის სამეურნეო დეპარტამენტს, გენერალ-გუბერნატორთან შეთანხმებით, ნება აქვს ადმინისტრატიულის წესით გადააყენოს სამსახურიდან ბურგომისტრები, რატმანები, საქალაქო რწმუნებულთა თავმჯდომარე და მისი ამხანაგი, აგრეთვე საქალაქო და სასოფლო სათემო მართველობათა ყველა მოხელენი.

გ) გუბერნატორებს ნება ეძლევათ შეაჩერონ ყველა თვითმართველობით დაწესებულების იმ დადგენილებათა აღსრულება, რომელნიც არ შეეფერებიან საზოგადო სახელმწიფო ინტერესებს ან ადგილობრივ მცხორებთა საჭიროებას ან არა და უკანონონი არიან. ყოველი ამგვარი თავისი განკარგულება გუბერნატორმა უნდა შეატყობინოს გენერალ-გუბერნატორს, რომელიც, თუ არ მოიწონებს გუბერნატორის განკარგულნბას, სენატს მისცემს წინადადებას იმ განკარგულების მოსპობის შესახებ.

6. ამ უმაღლეს დადგენილებას ძალა ექნება სამის წლის განმავლობაში იმ დღიდან დაწყებული, რა დღესაც გამოცხადებული იქნება ფინლიანდიის დიდ სამთმეროს დადგენილებათა კრებულში.

ამასთან ერთათ გამოქვეყნებულია უმაღლესათ დამტკიცებული ახალი დადგენილება და ინსტრუქცია გენერალ-გუბერნატორისათვის: „გენერალ-გუბერნატორი არის უმაღლესი წარმომადგენელი სახელმწიფოსი ფინლიანდიაში და მთავარმართებელი ფინლიანდიის სამოქალაქო მართველობისა. გენერალ-გუბერნატნრის მოვალეობაა ხელმძღვანელათ იყოს ყველა დაწესებულებათა და მოხელეთა; თავისი აზრი გამოთქვას ყველა იმ თხოვნისა და სამქის შესახებ, რომელნიც ხელმწიფე იმპერატორის სახელზე იგზავნება; პირადათ ან დავალებულ პირთა შემწეობით რევიზია მოახდინოს ხოლმე ყველა დაწესებულებაში; მიიწვიოს ჩვენების ჩამოსართმევათ ყველა პირნი და მოხელენი, ისინიც კი, ვინც არჩეულია საზოგადოებისაგან, თუ ამას საჭიროება მოითხოვს; მას ექვემდებარება ფინლიანდიის ყველა სამოქალაქო დაწესებულება და თვითმართველობის ორგანოები ქალაქათ თუ სოფლათ; როგორც პოლიციის უმთავრეს ხელმძღვანელს, მას ევალება ყოველგვარი დონე იღონოს უწესოებათა ასაცდენათ ან მოსასპობლათ; თვალ-ყური ადევნოს საქველმოქმედო წარმოდგენების, ლატარია-ალეგრების და სხვა გასართობების გამართვას, რათა შეგროვილი ფული გამოცხადებულ საგანს მოხმარდეს ხოლმე;

გენერალ-გუბერნატორის მთავარ მოვალეობას შეადგენს, თვალყური ადევნოს პრესსას; იმისათვის მას უფლება ენიჭება თავის შეხედულობით ნება დართოს ახალი გაზეთის გამოცემა, დროებით შეაჩეროს ან სულ მოსპოს გაზეთის გამოცემა; ნება ეძლევა დახუროს ყოველგვარი საჯარო ბიბლიოთეკა ან საზოგადო სამკითხველო და აგრეთვე სტამბები; განსაკუთრებული თვალ-ყური ადევნოს ფინლიანდიის სასწავლებელთა და მათ შორის ფინლიანდიის საიმერატორო უნივერსიტეტს. გარდა ამისა, გენერალ-გუბერნატორს, თუ საგანგებო საჭიროებამ მოითხოვა, ნება აქვს, თავისი პასუხისმგებლობით, მიიღოს სხვა განსაკუთრებული ღონისძიებანიც, რომელნიც აღემატებიან მისთვის მინიჭებულ უფლებათ, მაგრამ იმ პირობით, რომ ყოველი ამგვარი შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მის იმპერატორებით უდიდებულესობას .

ინსტრუქციასთან ერთათ გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომლით ამიერიდან აკრძალულია ფინლიანდიაში, პოლიციის ნებადაურთველათ სათეატრო წარმოდგენების, კონცერტების და სხვა გასართობის მოწყობა, აგრეთვე სახლების დროშებით მორთვა და ილლიუმინაციის გამართვა. ოფიციალურ „ფინლიან. გაზ.“-ის სიტყვით, ეს განკარგულება გამოწვეულია იმით, რომ აგიტატორები ცდილობენ ხალხზე გავლენა იქონიონ სხვადასხვაგვარ დემონსტრაციების გამართვით, მაგალითათ „სინათლის დღეები“, პოეტის რუნებერგის დაბადების დღეს და „სიბნელის“ დემონსტრაციები უმაღლეს მანიფესტის (1899 წ. 3 თებვალს) გამოცხადების დღეს.

— ფინლიანდიის სენატმა განკარგულება მოახდინა, ფინლიანდიაში ყველა ადგილობრივმა დაწესებულებამ უსათუოთ იუქმოს ხოლმე საუფლო დღესასწაულები: ხელმწიფე იმპერატორის დაბადებისა, სახელწოდებისა, ტახტზე ასვლისა და გვირგვინის კურთხევის დღეები, აგრეთვე დაბადებისა და სახელწოდების დღეები მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ დედოფლების და ხელმწიფე მემკვიდრისა.

სხვადასხვა ამბები.

მარტის განმავლობაში ჭიათურის შავიქვა გაუზიდავთ ჭიათურისა, ჩიქაურისა და დარკვეთიდან ბათუმსა და ფოთში 3,590,250 ფუთი, ბალაჯარში 18,000 ფუთი.

შორაპნიდან გაუტანიათ ბათუმსა და ფოთში 3,585,500 ფუთი, ბალაჯარში 12,000 ფუთი. 1 აპრილს ჭიათურის მადნების საწყობებში დარჩენილა ჭიათურაში 17.375,000 ფ , ჩიქაურში 10,231,000 ფ., დარკვეთში 2.560,000 ფ. სულ 30,166,000 ფუთი.

მარტის პირველ რიცხვებში ბათუმში გასამართლებულ მუშებს ამ დღეებში სააპელაც-ო საჩივარი შეუტანიათ ტფ. სამოსამართლო პალატაში. ამასთანავე მუშებს პალატისათვის განუცხადებიათ, რომ დამცველებათ ისევ ის ვექილები ეყოლებათ, რომელთაც ბათუმში დაიცვეს მათი საქმე.

ქუთაისის გუბერნიის სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტს დეპეშით სთხოვენ პეტერბურგიდან, გამოგზავნეთ კომიტეტის წევრების ბბ. სტაროსელსკისა, ტიმოფეევისა, ახოტინისა, თუმანიშვილისა, დოლგუბინისა; ვუჩინოს, ქუთათელაძისა, ბაქრაძისა და სხვათა ცალკე აზრი ყველა წოდების სასოფლო დაწესებულების (**всесословная волость**) შემოღების შესახებაო.

ამ თვეში შეუდგენ სახალხო სახლის აგებას კიროჩნისა და დიდ-მთავრის ქუჩებზე და ორ არშინზე კედლები [illegible] ამოიყვანეს. გეგმით შუაში თეატრი უნდა გაიმართოს, მარჯვნივ დარბაზი ლექციების საკითხავად, მარცხნივ წიგნთსაცავი და სამკითხველო. ძირს გაიმართება სასადილო და საჩაიე.

შაბათს, 13 აპრილს, მოხდა ნოქართა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების კრება. კრებამ ჯერ წარსული წლის ანგარიში განიხილა. საზოგადოებას ამ წელს შემოსვლია 4.645 მან. 69 კაპ. ხარჯი ჰქონია—1.210 მან. ანგარიშის დამტკიცების შემდეგ კრებამ განიხილა მოხსენება სავაჭრო სკოლის დაარსების შესახებ. შკოლა საზოგადოებამ უნდა შეინახოს კრებამ დაავალა გამგეობას, აღძრას შუამდგომლობა წევრთა შვილებისთვის სავაჭრო შკოლის დაარსების შესახებ. დასასრულ აირჩიეს გამგეობის წევრები: დ. ა. მარგულოვი, ა. ი. გრიგებინი, ცილიანი და ნ. ვ. აბრამიანცი; ამათ კანდიდატებათ: კ. მ. შირინიანი, ი. ი. ცისანი, კ. აქეანიანი და ს. ა. გალუსტოვი; სარევიზიო კომისიის წევრებათ—კ. ე. ბოზეზი, ტერ-არუთინოვი, ვ. ა. ავაგიანი და ვ. ა. მელქონოვი.

სათანადო დაწესებულებამ უკვე გააწერა სახელმწიფო გადასახადი თბილისის გუბერნიის ქალაქების უძრავ ქონებას. თბილისზე გაწერილია—122,814 მან., ახალციხეზე—2,520 გორზე—2,000 მან., სიღნაღზე—1,863 მ., თელავზე—1,562 მან., ახალქალაქზე—1,413 მან , კოჯორზე—1,374 მან. და დუშეთზე—454 მანეთი.

ქუთათურ აგურხანების პატრონებმა, რიცხვით 24 კაცმა, შეადგინეს ამხანაგობა, რომლის გამგეობა მიანდვეს 5 კაცს. ამათი მოვალეობაა თვალ-ყური ადევნონ, რომ აგურხანებში კარგი ღირსების აგურსა და კრამიტს ამზადებდენ; იზრუნონ ადგილობრივის აგურისა და კრამიტის გავრცელებაზე, როგორც ქუთაისში, ისე სხვაგანაც და სხვ.

ეხლახან ბაქოში საზოგადო აღწერა მოხდა. როგორც აღმოჩნდა, კერძოთ ბაქოში 126 ათასი სული მცხოვრები ყოფილა; ბაილოვის მისსა, ჩორნი და ბელი გოროდსა და ბიბიეიბათში—17 ათასი, სულ ამრიგათ ბაქოში 143 ათასი სული მცხოვრები ყოფილა.

ამ ცოტა ხანში უმაღლესი მთავრობა განიხილავს საკითხს თბილისში საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის დაარსების შესახებ. როგორც გავიგეთ, ერთი აქაური მილიონერი მომავალ პოლიტეხნიკუმის შენობისთვის სწირავს 600 ათას მანეთს, 100 ათასსაც სტიპენდიებისათვის.

გაზეთ „მშაკ“-ს მეტად შემაძრწუნებელ და დაუჯერებელ ამბავსა სწერენ ხილ-ყარაკლისიდან (ალექსანდროპოლის მაზრა): პარასკევს, 4 აპრილს, გათენებისას, სოფ. ბაიდურში, ამ სოფლის მცხოვრებმა ივ. ასლამაზოვმა ეკკლესიის კარებთან დაჰკლა თავისი 7 თვის ვაჟი. როგორც თვითონ განაცხადა, ვაჟი ღმერთს შესწირა. ამ ორის წლის წინათაო, უთქვამს მას, ძალიან ავათ ვიყავი და იოანნე ნათლისმცემელმა ღმერთთან წამიყვანა; ღმერთმა მითხრა—ვაჟი გეყოლები და 7 თვის რომ შეიქნება, მე შემომწირეო.

ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნები: 1) „შალვას თავგადასავალი“ სურათებით ცახელისა. წიგნში 46 გვერდია და ღირს სამ შაურათ.

2) „ბარტექ ძლევამოსილი", მოთხრობა ჰენრიკ სენკევიჩისა, გადმოღებული ივ. თ. და ან. ლორთქიფანიძის ქალების მიერ. წიგნი შეიცავს 106 გვერდს და ღირს ერთ აბაზათ.

კორესპონდენციები.

ს. სურები. მიმდინარე წლის რვა აპრილს მოხდა კრება, რომელმაც გაარჩია ორგვარი კითხვები: საბანკო და საშკოლო. საბანკო კითხვათა შორის საყურადღებო იყო მხოლოდ კითხვა კასის მოპოვების შესახებ, რისთვისაც კრებამ გადადვა 130 მანათი გასული წლის სარგებლიდან. სამაგიეროთ უფრო საყურადღებო იყო კრება შკოლის ზოგიერთ საქმეების შესახებ. პირველათ კრებამ მოისმინა ანგარიში შკოლის გასული ორი წლის შემოსავალ-გასავლისა. როგორც მოანგარიშე პირებმა მოახსენეს კრებას, შკოლის მზრუნველს ბ. მაღ. რამიშვილს რიგიანათ ვერ ცხვენებია ამ მოანგარიშე პირებისთვის შკოლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში და რაც ეჩვენებინა, იმაშიაც დადებოდა ვალათ ორმოც მანეთამდის. კრებამ დაავალა მზრუნველს ხსენებული ფულების შკოლისთვის დაბრუნება და მის მაგიერ მზრუნველათ აირჩია ბ. ივ. გ. რამიშვილი. შემდეგ კრებაზე აღძრულ იქნა კითხვა თავმჯდომარის წინადადებით ბ. ირ. ივ. რამიშვილთან ანგარიშის გასწორების შესახებ. საქმე იმაშია, რომ ეს ირ. რამიშვილი ერთ დროს მოღვაწის სახელით განაგებდა ამ სოფელში არსებულ ორკლასიანი შკოლის შენობის აგების საქმეს, მარა ამ დალოცვილმა მოღვაწემ ისეთ ნაირათ აუბნია ბოლოს სოფელს მის მიერ დახარჯულ ფულების საქმე, რომ აგერ მესამე წელი გადის და ნამდვილი ანგარიში ვერ გავიგეთ. სოფელი ეწამება ბ. ირ. რამიშვილს საშკოლო ფულების მითვისებას, ის კი, პირიქით, დიდის რიხით აცხადებს, რომ ათასი მანეთი ჩემი დავხარჯე შკოლის აგებაზეო. ამ საქმის გამო, სხვათა შორის, ერთხელ მედიატორებიც კი იყვენ დანიშნული, მარა მათ ვერავითარი განჩინება ვერ დაადგინეს, რისთვისაც მათ ჩვენ ვუცხადებთ სასტიკ საყვედურს. ამნაირათ სოფელსა და ირ. რამიშვილის შორის ატეხილი დავა ერთ გვარ დრეიფუსის საქმეთ გადაიქცა და ვინ იცის როდის მოეღება ბოლო. ახლა კრებამ გადაწყვიტა: ამ საქმისთვის არსებულ სოფლის ვექილს ბ. სერაპიონ რამიშვილს მიემატოს მეორე პირი ბ. ნოე რამიშვილი და დაევალოს მათ, იხმარონ ყოველივე ღონისძიება და დაამთავრონ ეს მუდმივი თავსატეხი და მასთან შკოლის დამაბრკოლებელი ანგარიში. დასასრულ კრებამ მოისმინა მესამე კითხვა, რომელიც ეხებოდა ხსენებულ შკოლის საპატიო მზრუნველს, რომლათაც აქამდის ირიცხებოდა ისევ ის ცნობილი მოღვაწე ბ. ირ. რამიშვილი. თავმჯდომარემ ჯერ აუხსნა კრებას ის უპირატესობანი, რომელთაც ანიჭებს კაცს შკოლის საპატიო მზრუნველობის თანამდებობა; მერმე დაასახელა ის მატერიალური და ზნეობრივი დახმარებანი, რომელთაც უნდა უწევდეს შკოლას მისი საპატიო მზრუნველი და შემდეგ ამ მხრით შეუდგა არსებული საპატიო მზრუნველის დაფასებას. აღმოჩნდა, რომ ბ. ირ. რამიშვილს სრულიად უკანონოთ კავებია ეს საპატიო ადგილი: მას არამც თუ არავითარი დახმარება, არც მატერიალურათ და არც ზნეობრივათ არ აღმოუჩენია შკოლისთვის, არამედ პირიქით დიდი ზიანიც კი მიუყენებია მისთვის, როგორც პირველი, ისე მეორე მხრივ. მაგ., იმას არამც თუ თავის ჯიბიდან არ გამოუღია არავითარი შემწეობა შკოლის სასარგებლოთ, არამედ, როგორც ზემოთ ვთქვით, მას სოფელი დღემდის საფუძვლიანათ ეწამება კარგა ბლომა თანხის მითვისებას შკოლის საკუთარი ფულებიდან; აგრეთვე მავნებელი და უზნეო ყოფილი, როგორც სიტყვით, ისე საქმით, მისი ყოფაქცევა მასწავლებლებისა და თვით შკოლის დამაარსებელ საზოგადოების მიმართ. გაითვალისწინა ყოველივე ეს თუ არა, კრებამ ერთხმათ გადაწყვიტა:

იშუამდგომლოს დირექციის წინაშე ხსენებული საპატიო მზრუნველის ბ. ირ. რამიშვილის გადაყენებაზე, ხოლო მის მაგიერ აირჩია და წარადგინა დასამტკიცებლათ ამ თანამდებობაზე ბ. ნოე მაღ. რამიშვილი, რომელიც პირობით შეეკრა საზოგადოებას, რომ ის, გარდა ზნეობრივი დახმარებისა ყოველ წლობით გა[illegible] შკოლის სასარგებლოთ ხუთ-ხუთ თუმანს. დეე, გაიგონ [illegible], რომ ქვეყანაზე მათ გარდა სხვებიც არიან!

დამსწრე.

საჩინო (ქუთაისის მაზრა). ქუთაისის მაზრაში, სოფელს სალხინოში, 23 მარტს გადაიცვალა პარმენ ბესოს ძე ლორთქიფანიძე. განსვენებული იყო ორმოცდათვრამეტის წლის; სწავლობდა ჯერ ქუთაისის გიმნაზიაში, შემდეგ დაჰყო სამი წელიწადი ოდესის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელათ. ოდესიდან დაბრუნებული ცხოვრებდა თავის სოფელში და სამსახურს უწევდა სასოფლო საზოგადო საქმეებს სიტყვით და საქმითაც.

უმთავრეს თვალსაჩინო ნაყოფათ ჩაითვლება მისი მოღვაწეობა შკოლებზე, რისთვისაც ბევრჯელ უქადაგებია ხალხისათვის. მან შესწირა ადგილობრივ შკოლას საკმარისი ადგილი შენობის დასადგამათ და რამოდენიმე მასალაც. მეორე მისი მოღვაწეობის ნაყოფათ ჩაითვლება ბაზრის მოწყობის საქმე დიდი ბრძოლა გასწია, რომ „იარმარკა" არ ყოფილიყო ქერძო კაცის ქონებათ, არამედ საზოგადოებისა. კიდევაც ასე აასრულდა. საზოგადოებამ საერთო თანხით შეიძინა „საიარმარკო" ადგილი, რომლის შემოსავალი შეადგენს საზოგადოების საკუთრებას და, რომელსაც დღეს შემოაქვს 470 მან. წელიწადში. რასაკვირველი, ბევრათ აიწევს შემოსავალი, რადგან ჯერ კიდევ ახალი დაწყებულია ვაჭრობა. იმედია თავის დროზე კარგი შემოსავალი ექნება საზოგადოებას თუ რიგიან საქმეზე მოიხმარებენ. ის იყო მეტის-მეტი უბრალო ადამიანი, თავდაბალი, ზრდილი და მასთან დარბაისელი.

ძალიან დაახლოებით იცნობდენ მის ზნე-ხასიათებს დაბალი ხალხი, რადგან უფრო ხშირათ იყო მათთან და გულგახსნილი, ტკბილი ბაასით სწორ გზაზე აყენებდათ. ადრევე დამოუკიდებლათ გახადა მისი გლეხები მის ოჯახთან. ყველა მათგანს შეახსნა მამულები იმ ფასში, რა ფასსაც გლეხები მოაწოდებდენ. არაოდეს მას გლეხებისადმი არ მიუმართავს ჩვეულებათ გადაქცეულის სახელით: „ბიჭო" ანუ „უაძახო", არამედ შედარებით ხანისა უწოდებდა მამაო, ძმაო. ან მის საყვარელ სახელ „ბიძა"-ს ღირს აღსანიშნავია ეს გარემოებაც მის დასაფასებლათ: ოცის წლის წინეთ მან დაუთმო საკმაო დიდი ტყიანი საბალახო მამული სრულიად უფასოთ დვალიშვილების საზოგადოების გლეხებს, რაც შემდეგ გამიჯვნის დროს მანვე გლეხების საკუთრებათ დაამიჯვნია. გლეხებისაგან მისდამი ღრმა პატივისცემას შემდეგი გვირგვინებზე წარწერა გვიჩვენებს:

„ჩვენს ერთგულს ძვირფას ძმას და სოზოგადო მოკეთეს პარმენ ბესოს ძეს ლორთქიფანიძეს ვანის საზოგადოების გლეხებისაგან". მეორეზე: „ჩვენს ძვირფასს და დაუვიწყარ მოღვაწეს პარმენ ბესოს ძეს ლორთქიფანიძეს ვანის საზოგაოების ებრაელთაგან". მესამეზე:

„შენ შეიგენი რუსთველის მოძღვრება მოსწონები:
„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები!"
შენ შეიბრალე უმცროსი მოძმე არა რას მქონები,
გიძღვნიან სიყვარულითა, დაგლოცვენ, მოეგონები.

დვალიშვილების საზოგადოების გლეხებისაგან".

ადგილობრივი შკოლის შეგირდებმა განსვენებულის კუბო ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით დაფარეს. განსვენებულს დატოვებინა ანდერძი, რომელიც ქონია მიბარებული ადგილობრივ მღვდელს. ანდერძში სწერია: „არ ვაძლევ ნებას ჩემს მერმე ვინც მრჩება ჩემი ნათესავნი გამასვენონ ჩვეულებრივ სოფლისა, არამედ ქრისტიანულ წესით, ტილოში გახვეული მიწას მიმაბარეთ, ყოველი სამღვდელო მოვალეობა აღასრულოს მხოლოდ ერთათერთმა მღვდელმა. სიკვდილი გამოაცხადოს მანვე ქართულ გაზეთში". ორის დღის წინ სრულ მეხსიერებას ქვეშე თანადასწრებით ორი მეგობარი მღვდლისა გაახსნ-

ნა უფრო თავის ძმისწულს, რომ „თუ რამე მრჩება, თქვენია, თუ ვიცოცხლებ ცოტა ხანს. მე ისეთი ცოტა მოთხოვნილება მაქვს ცხოვრების, რომ თქვენ არ შეგაწუხებთ, მხოლოდ გთხოვთ მოიგდოთ და მომცეთ ბატარა თანხა, რომ მეც შევიტანო რამე წვლილი ჩემი ქვეყნის საჯირო საქმისათვისო“, რის ასრულება სიცოცხლეთ არ დასცალდა. ამის მიხედვით მისმა ჯირისუფალმა განსვენების დღეს საზოგადოების თანდასწრებით გადასცა ადგილობრივ მდვდელს ჯერ-ჯერობით 500 მან. სასარგებლოთ ადგილობრივ შკოლისა. უმეტესი გლეხობის სურვილი შეიქნა, რომ ეს თეული იქნეს თონდათ მეტისმეტ საჯირო ხიდისა მდინარე სულორზე, სადაც დიდი გაწვალებულია მუშა ხალხი. ამიტომ ასე გადაწყვიტეს: თუ შეავსებენ. როგორც თვითონ იმედობენ, იმდენ თანხათ, რომ მოუშლელი ქვის ხიდი გაკეთდება, მოხმარეს ხიდს, და თუ არა, იმ შემთხვევაში გადაეცეს სრულ საკუთრებათ ისევ შკოლას. თუმცალა ჩვეულებრივ ბარათებით დაბატიჟება არ ეოთილა და არც ჩვეულებრივი გამასჩინძლება, მაგრამ მაინც დიდი საზოგადოება დასწრო დასთვლაებს. უმეტესი ნაწილი კი დაბალი ხალხი, მასთან დასწრენ როდენიმე ინტელიგენტიც, იმათ შორის ქუთაისის მაზრის წინამძღოლი.

სასიხარულოა ესეც, რომ ამნაირმა განსვენების წესმა ეხლავე თავი მოიდგა ჩვენს საზოგადოებაში, ერთი მიცვალებული უკვე ამნაირათ უბრალოთ დამარხეს, რომ საზოგადოთ ჩვენებური განსვენების წესლობით ეგვალანი ვალში ვვარდებით ხოლმე. ამასთან სურსთ დაწესონ, რომ ნაცვლათ უმნიშვნელო ხარჯისა, გადადონ სურვილისამებრ ბატარა წვლილი საზოგადოების მიერ არჩეულ კომისიის გადაწყვეტილ საქველმოქმედო საქმისთვის.

სიტყვა წარმოსთქვეს ადგილობრივმა მდვდელმა სერაბიონ ადუნაშვილმა, მდვდელმა თეოფანე ნადირაძემ და აკაკი ლორთქიფანიძემ.

საღინოს სკოლის მასწავლებელი.

—

სოფ. ᲫᲕᲔᲚᲘ-ᲒᲐᲕᲐᲖᲘ (თელავის მაზრა). სოფელ ძველ-გავაზში მალე გაიხსნება ბიბლიოთეკა-სამკითხველო. დიდი შრომა და მეცადინობა იყო საჯირო, რომ აქ ბიბლიოთეკა დაარსებულიყო. ბიბლიოთეკის დაარსება განიზრახეს ამ სოფლის გულშემატკივრებმა 1901 წელს და ამ დროიდან მეცადინეობა არ მოუკლიათ ამ საქმისათვის. შენობა ბიბლიოთეკისათვის საკუთარი იქნება. ეს შენობა დაჯდა სულ 300 მან. აქაურმა გლეხებმა ბევრმა ადმოუჩინეს დახმარება შენობის გასაკეთებლათ; ზოგმა აგური შესწირა, ზოგმა კრამიტი, ზოგმა ქვიშა და კირი და ზოგმაც ორ-ორ-სამ-სამი დღე იმუშავეს მის გაკეთებაზე. ეხლა ბიბლიოთეკა მხოლოდ ნებართვასა ელის. ბატონ გუბენატორისაგან მეორეჯერ ბიბლიოთეკის ნებართვის შესახებ გაგზავნილ თხოვნის ბასუხი მოგვივიდა წარსული წლის დეკინობისთვის 25-ში და თანხმათ მისის მოწერილობისა შევადგინეთ წესდება ბიბლიოთეკისა და გავგზავნეთ სადაც ჯერ არა. იმედი გვაქვს ნებართვა ჩქარა მოგვივა ბიბლიოთეკის გახსნისა და დიდი ხნის სურვილი და წადილი აგვისრულდება.

კოტე ალაზნისპირელი.

რუსეთის ცხოვრება.

15 წარსულ მარტს ხელმწიფე იმპერატორმა კეთილინება და უბრძანა სახელმძღვანელოდ საერო განათლების სამინისტროს მმართველს შემდეგი განმარტებანი, რომელნიც საუკეთესოდ უნდა დაედოს შკოლის რეფორმის საქმეს:

1) გიმნაზიებში სწავლების კურსი ისევ რვა წლიწადი იქნება. ასწავლიან ორივე ძველს ენას, მხოლოდ ბერძნული ენის სწავლება უმეტეს შემთხვევაში სავალდებულო არ იქმნება. გიმნაზიის კურსის დამთავრებულთ შეუძლიათ უმაღლეს სასწავლებელში შესვლა.

2) რეალურ სასწავლებელში ექვსი ძირითადი კლასი დარჩება, ხოლო მეშვიდე დამატებით კლასად ჩაითვლება. რეალურ სასწავლებელთა კურსდამთავრებულებს შეუძლიათ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში შესვლა.

3) გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებელთა გარდა, გახსნილ უნდა იქნენ სხვა საშუალო სასწავლებლები ექვსის წლის კურსით, ს

მთელი ირლანდიის მიწები რამდენიმე ლენდლორდების საკუთრებას შეადგენს და აუარებელი ფერმერები და სოფლის მუშები იძულებული იყვნენ დიდი ფულები ეხადათ მათ სასარგებლოთ. ასეთმა არანორმალურმა მდგომარეობამ ბევრი არეულობა გამოიწვია ირლანდიის მცხოვრებლებში. განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროს ბრძოლა მეტათ გამწვავებული შეიქნა, ასე რომ მთავრობის მიერ განსაკუთრებული ზომების შემოღება გამოიწვია ამ ზომებმა დამშვიდების მაგიერ კიდევ უფრო აღელვა და ააშფოთა მთელი ირლანდია. ახლა კი მთავრობამ შეიგნო, რომ ხალხის დამშვიდება შეიძლება მხოლოდ მისი სამართლიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილებით, და ინგლისის პარლამენტში ბილლი შეიტანა ირლანდიის მიწის გამოსყიდვისა და იჯარით აღების ახალი სისტემის შესახებ ამ ბილლის გასარჩევათ დუბლინში, ირლანდიის დედა ქალაქში შედგა კრება ირლანდიის ნაციონალური ლიგისა. კრებას დაესწრო ორიათას კაცამდე და გაგრძელდა ორი დღე. კრების გახსნისას თავმჯდომარემ ჯონ რედმონდმა სიტყვა წარმოსთქვა, სადაც ის აზრი გაატარა, რომ ახლა სწორეთ ისეთი მომენტი დაგვიდგა, როგორიც მეორეთ არ მოგვიბრუნდება, თუ ის ხელიდან გავუშვითო. ახლა ყველა პირობები ხელს უწყობენ ირლანდიის მიწის საკითხი სასურველათ გადიჭრასო, რაც უნდა ნაკლი ქონდეს ახალ ბილლს, მისი საბოლოო მიზანი მაინც ლენდლორდიზმის გაუქმებააო. მთავრობის ინტერესიც თხოულობს ეს ბილლი ისე შესწორდეს, რომ მიზანს მიაღწიოს. ბილლის უარყოფა კრებისაგან კი დღეს მოუსწრაფებს ამ საკანონმდებლო პროექტს და საქმის გადაწყვეტას შეაფერხებსო. კამათის შემდეგ კრებამ ერთხმათ მიიღო, რეზოლიუცია, რომლითაც სიამოვნებით აღნიშნავს ამ ბილლის შემოტანას პარლამენტში, რომელიც ბოლოს უღებს ირლანდიაში არსებულ აგრარიულ სისტემას. ამასთანავე რეზოლიუცია აჩვენებს ზოგიერთ ნაკლს ბილლისას და თხოულობს მათ შეცვლას. მეორე დღეს კამათი შეეხებოდა ასეთ მუხლების შეცვლის საკითხს. კრებამ მიიღო სხვა და სხვა რეზოლიუციები, რომელთა შორის აღსანიშნავია, რეზოლიუცია რედმონდისა. „პირველი და უმთავრესი მოთხოვნილება ირლანდიისა ეს—ნაციონალური თვითმართველობაა, კრებამ ხელახლა განიმეორა მოთხოვნილება, რომელსაც აგერ 100 წ. ირლანდიის ხალხი განუწყვეტლივ თხოულობს, სახელდობრ: დაებრუნოს მას კონსტიტუციონური უფლება მართვა-გამგეობისა საკუთარის პარლამენტით, რომელიც შესდგება ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატებისაგან და პასუხის მგებელი იქნება ხალხის წინაშე“.

ავსტრია. ავსტრო-ვენგრიის მთავრობას აზრათა აქვს, ორი წლით ქვევითა ჯარში გაწვევა შემოიღოს.

საფრანგეთი. რაც უფრო ახლოვდება მონასტერ-ფაბრიკების დახურვის დრო, იმდენი მეტათ მწვავდებიან ბერები და ყოველგვარ ხრიკებს მართვენ, რომ მთავრობას სახელი გაუტეხონ. კონგრეგაციები, განსაკუთრებით ისენი, რომელთაც ფაბრიკები აქვთ გამართული და სამღთო მორჩილების სახით დაუსრულებელათ სარგებლობდენ ახალგაზრდათა და ქალთა შრომით. მათთვის არ არსებობდა არავითარი შემზღუდველი კანონი მუშათა ექსპლუატაციის შესაზღუდავათ. ამიტომ გასაკვირალი არაა, რომ ბერები და მონოზნები ყველა მონასტრებისა აცხადებენ, რომ ისინი არ დასტოვებენ თავის ადგილს ნებაყოფლობით და დაემორჩილებიან მხოლოდ სამხედრო ძალას. ამასთანავე კონგრეგაციების წინამძღვრები ათასგვარ „ინსინუციებს“ ავრცელებენ კომბსა და მის მართველობაზე. მაგ., გრენობლის ფაბრიკა-მონასტრის წინამძღვარმა დაბეჭდინა წერილი კომბთან, რომელშიაც უშვერი სიტყვებით იხსენიებდა პირველ მინისტრს. მაგრა ამან საზოგადოებაზე სულ წინაღმდეგი შთაბეჭდილება მოახდინა და კონგრეგაციების წინაღმდეგ უფრო აღელვა. ამის შემდეგ გაავრცელეს ხმები, ვითომ რესპუბლიკანური პარტიის სამ მეთაურს წინადადება მიეცეს მონასტრის წინამძღვრისთვის, თქვენ მონასტერს აქ არსებობის უფლებას ვუშოვით, თუ ორ მილიონ ფრანკს სასყიდელს გამოიღებთო, მაგრა წინამძღვარმა ზიზღით უარყო ასეთი წინადადებაო“.

პარიჟის პრესა მეტათ აღელვა ასეთმა ცილისწამებამ: „Ptite Republique“ მოგვითხრობს, რომ ამ ერთი თვის წინეთ, სანამ გარტეზინის მონასტრის საქმე გაირჩეოდა, პარიჟში ჩამოვიდა ერთი პრი და ცდილობდა რესპუბლიკელების მეთაურები ენახა, მაგრა ვერ მოახერხა და ისევ გაიპარაო. „კარტეზიანს ბერებს“ გონიათ დასძენს გაზეთი, რომ პარიჟში ყველაფრის ყიდვა შეიძლება, რადგან ისინი შეეჩვიენ ყველაფრის გაყიდვას. იუსტიციის მინისტრმა ბრძანება გასცა, გამოკითხეთ მონასტრის წინამძღვარს „მექრთამეობისო“ შესახებ. მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მონასტერი მაინც თავის ვადაზე დაკეტოს.

გერმანია. პრუსიის კანონებით ქალი მოკლებულია ყოველივე უფლებას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებისა. მას არა აქვს უფლება პოლიტიკურ კრებებს დაესწროს ან პოლიტიკურ საზოგადოებაში მონაწილეობა მიიღოს. მაგრა ეს კანონი ძალას კარგავს, როცა იწყება საპარლამენტო არჩევნები. ამ არჩევნების დროს ქალსაც ისეთივე უფლება აქვს კრების შედგენისა, საზოგადოების დაარსებისა საავიტაციოთ, როგორც მამაკაცებს და ვერავინ ვერ გაბედავს მათ მოქმედებას ხელი შეუშალოს.

ამ დროს საზოგადოებას შეუძლია თვალსაჩინოთ დაინახოს, რომ ქვეყანას ვნება არ მიეცემა, თუ ქალს ისეთივე სრული უფლებები ექნება ისეთივე სრული მოქალაქე შეიქნება, როგორც მამაკაცი. ამ აზრს ახლა კონსერვატორებიც ვეღარ ფარავენ. ფონკარდორფმა, (კონსერვატორმა) აღიარა, რომ რეიხსტაგშიც დიდ სარგებლობას მოიტანდენ ქალთა დეპუტატები რომ ისხდენ მამაკაცებთან ერთათ: ქალი უფრო მგრძნობიარე არსებაა, და ასეთს, უფრო შეუძლია სხვის უბედურებას თანაუგრძნოს, სხვისი ჭირი თავისათ მიიჩნიოს. მათ კარგათ აქვთ შეგნებული პასუხისმგებლობა თავის თანამდებობისა; ისინი უკვე მოქმედობენ სახალხო კრებებზე, საარჩევნო კომიტეტების სხდომებზე, და საავიტაციო საქმეებში და ყველგან დიდ უნარს იჩენენ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქალთა დიდი უმრავლესობა დემოკრატიის თანამგრძნობი მომხრენი არიან, მხოლოდ ათიოდ მოღვაწე ქალი თუ გამოიძებნება, რომელიც კონსერვატორებს უჭერდეს მხარს.

მ შ ი ე რ ი.

ზამთრის დილაა. ცას ღრუბელი სქლათ გადაკვრია,
თოვს, არემარე თოვლით არის მთლათ დაფარული,
ზღვა ღელავს, ღმუის… სუსხიანი ქარი ზუზუნებს,
სიცივით არის ყველაფერი გარემოცული!

აგერ ქუჩაზე მარტოთ-მარტო, გალურჯებული,
მოდის ვაჟკაცი საცოდავათ წელში მოხრილი,
ფეხებზე ძველი კალოშები წამოუცვია,
ტანზე აცვია გრძელი პალტო მთლათ დაკონკილი!

„სამი თვე არის, ფიქრობს იგი, სრული სამი თვე
საქმეს დავეძებ, ქუჩა-ქუჩა დავეხეტები,
მაგრამ არ იქნა, ვერაფერი საქმე ვიშოვნე…
ცოლ-შვილიანათ შიმშილითა აგერ მოვკვდები!

რაც რამ მებადა, რის გაყიდვაც შეიძლებოდა,
უკვე გავყიდე ოხრის ფასათ სუყველაფერი:
ტანისამოსი, ქვეშაგები და ბევრი სხვა რამ,
აწ რა უნდა ვქნა, რომ არა მაქვს არაფერი!

ვითხოვო? მერე ვინ მომხედავს, ვინ გამიკითხავს,
ჩემსავით ღარიბს თვითონ რა აქვს, რომ მე გამიყოს
და მდიდარსა კი გულის ნაცვლათ ქვა უდევს მკერდში,
არ შემიბრალებს, თუნდ შიმშილმა ბოლოც მომიღოს!

ვიქურდო? მერე პა*ოსან მუშაკს, ოფლის მღვრელს
მონაპარავი, წანართმევი ვით შემერგება!
ასეც არ იყოს, ბოროტმომქმედს ბოროტებისთვის—
ციმბირში წასვლა, ან ციხეში ჯდომა მერგება!

თავი მოვიკლა? საყვარელი წვრილი ცოლ-შვილი
მთლათ უპატრონოთ, ოხრათ, ობლათ როგორ დავყარო!
მაშ, რა უნდა ვქნა, რა ვიფიქრო, რა მოვახერხო,—
სულ უნდა მარტო მწუხარების ცრემლები ვღვარო?!

ოხ, ღმერთო, ღმერთო! რათ დამბადე, რათ გამაჩინე,
ნუთუ იმისთვის, რომ შიმშილით მოვმკვდარვიყავი,
ამას არ ჯობდა, რომ სრულიად არ გაგეჩინე,
რომ ქვეყნისათვის მეტ ბარგათ არ გავმხდარვიყავი?!“

და თან, სიცივით გათოშილი, ძიგძიგ კანკალებს,
შიმშილისაგან ეკარგება თანდათან ძალი,
ცას ზიზღით შესცქერს, ქვეყანას კი წყევლის და კრულავს
ცრემლებითა აქვს ავსებული ორივე თვალი!

ვ. რუხაძე.

სამშობლოს ცაზე.

წარსულ კვირას კვლავ მოვისურვე სამშობლოს ცის დათვალიერება. კვლავ შევადგინე სამოგზაურო მარშრუტი, მარა გეზი ერთობ ამირიეს. ზოგან შემიშვეს, ზოგან ნახევრათ შემახედეს და ზოგან კი სულაც არ გამაწაწანეს: „входъ воспрещенъ“-ო.

რას იქ ძამია? ახალი ამბავი ხომ არაა!

არც ისაა ახალი, რომ, როდესაც სამოგზაუროთ გამოველ ბევრმა წასვლა და აღარ მოსვლა მისურვა, ზოგმა გესლიანი ისარი დამიმიზნა, ზოგიც გამინაწყენდა და შუბლზე ღარებ დაწყობილი მიქცევდა გვერდს. არც ესაა ჩემთვის ახალი ამბავი და ამიტომ გამხნევებული შემდეგი სიტყვებით: „Segui il tuo corso e lascia dir le genti“ მე კვლავ განვაგრძობ ჩემს გზას და დეე „ვინც რა უნდა თქვას“.

დიახ ისევ იქით. ისევ მიხვეულ-მოხვეულით იქნება როგორმე ავცდე „ბარიერს“. ფრთხილათ!

* *
*

მაშ გადავხედოთ ჯერ ბათუმს. გადავხედოთ იქაურ საქალაქო საავათმყოფოს. აქ დავინახავთ ჩვენ როგორი სკუპი სცოდნია ქალაქის თავს ანდრონიკაშვილს დაბალ ღობეზე და რა ორთავა იანუსი ყოფილა ერთი თავის მსაჯულობა და სამართალი.

ქალაქის საავათმყოფოს ფერშლებს ქალაქის გამგეობაში ექიმ ფინკელშტეინის „უსაქციელობაზე“ შეუტანიათ განცხადება. ამ დროს ქალაქის თავის სავარძელი დაობლებული მდგარა დარბაზში, რადგან ანდრონიკაშვილი რუსეთში ბძანებულა. ძმა ძმისთვინა შავ დღისთვინაო, უფიქრია გამგეობის წევრს ბ-ნ ვოლსკის და უტვირთნია ჭირისუფლობა, როგორც მოადგილეს ქალაქის თავისას. სავარძელზე რუსეთში მყოფ თავის მაგიერ აგორებულა სხვა თავი და შესდგომია სამართალს. აუღია-დაუღია, უკითხავს, გამოუკითხავს ბატონ ექიმისათვის და მის შინა მორჩილ ფერშლებისათვის და გამოსულა, რო ექიმი ფინკელშტეინი მართლა „უსაქციელოთ“ ექცევათ ფერშლებს. ბ-ნ ვოლსკის დაუდვია განაჩენი: „ვიგოვორი“ და „პირველი გაფრთხილება“ ექიმს, ხოლო ნუგეში ფერშლებისათვის და უთხოვნია დავიწყება „რაც მოხდასი“. ამგვარათ მას კეისრისა კეისრისათვის მიუცია და ღვთისა ღვთისათვის. მგონი აქ უნდა გათავებულიყო საქმე.

მაგრამ სურათი მალე შეცვლილა:

ჩამოსულა რუსეთიდან ნამდვილი თავი და თვისი თავის მოადგილე თავის განქექილება გაუბათილებია. მას ხელახლა (რასაკვირელია, ფინკელშტეინის თხოვნით) მოუხდენია слѣдствіе. ხოლო ისე კი რომ მომჩივარათვის არ ამოუღებინებია ხმა. არა, მას პირდაპირ ისე, როგორც თვითმპყრობელ ბატონს მიუმართავს ფერშლებისათვის შემდეგი სიტყვებით:

„აი თქვენი განცხადება, რომელიც ქალაქის გამგეობის სახელზე შემოიტანეთ, და ამავე დროს არ მოუცადეთ თუ რა მსჯავრს დადებდა თქვენ საჩივარს ქალაქის გამგეობა, თქვენ ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით მიმართეთ საზოგადოების მსჯავრს. მე არ შევუდგები იმის გარჩევას, თუ ვინ არის თქვენ შორის მართალი და ვინ მტყუანი, დეე, საზოგადოება იყოს მსაჯული, მე კი გეუბნებით, რომ თქვენ უფლება არ გქონდათ ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით გამოგემჟღავნებიათ ეს ფაქტი, და თუ ეს გსურდათ, მაშინ სამსახურიდან უნდა გამოსულიყავით და შემდეგ რამდენიც გსურდათ, იმდენი გეწერათ. თქვენ კი, როგორც ვხედავ, დღეს აც განაგრძობთ სამსახურს, ამისთანა წესი საქმისა არსად იქნება შეწყნარებული, თქვენ გამოამჟღავნეთ შინაური საქმე. ამით ჩირქი მოსცეხთ იმ დაწესებულებას, სადაც თქვენ მსახურებთ, თქვენ დაარღვიეთ საზოგადო ბრინციპი და დისციპლინა, თქვენ სახელი გაუტეხეთ საზოგადო დაწესებულებას, ამიტომ მე უყურადღებოთ ვტოვებ თქვენ საჩივარს და ნებას ვაძლევ ბ-ნ ფინკელშტეინს, როგორც სურს ისე გაგასამართლოსთ, ხოლო უკეთუ ბ-ნი ფინკელშტეინი ინებებს რომელიმე თქვენგანის დატოვებას, არ გაბედოთ და კრინტი არ დაძრათ გაზეთში, თორემ სასტიკათ დაისჯებით. მე კი, დასძინა ბრალმდებელმა მსაჯულმა, ბ-ნ ფინკელშტეინის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, ერთ საათსაც არ დაგაყენებდით სამსახურში“-ო *)

გესმით რა დანაშაული ჩაუდენიათ ფერშლებს? გამოუმჟღავნებიათ „შინაური საქმეები“ და მით დაურღვევიათ „დისციპლინა“. ეჭვი არ არის ბ-ნი თავი ქალაქის საავათმყოფოს თავის საკუთარ საქათმეთა სთვლის და იქ მსახურთ ბატებათ, რომელთაც საითაც სურს, იქით გაირეკავს!

როგორ მოგწონთ „საზოგადო მოღვაწის ასეთი მსჯავრი და შეხედულება თვით პრესაზე? აი ამ კაცისთვის იმტვრევდენ თავებს ბათუმელები. აი ვის ჩააბარეს ბათუმელებმა ქალაქი.

ან რას ბრძანებთ ბ-ნო ვოლსკი, თქვენის განჩინების „აბრუნდიზე“, თქვენგანში რომელი თავი იყო მართალი? ის, რომელმაც მართლა „უსაქციელოთ“ იცნო აქიმის მოპყრობა ფერშლებისადმი, თუ ის, რომელმაც იგივე ფერშლები გადასცა იმავე აქიმს „რგორც სურს მაგან გაგასამართლოთო!“ ამაზე მეტი სამართლის დაგმობა შეუძლებელია!

*
* *

კაი განაჩენი სცოდნიათ ლანჩხუთლებსაც. ისინი დღეს, რო იტყვიან და ბეჭედს დაკრავენ ხვალ უკანვე წაიღებენ ნათქვამს და ბეჭედსაც ახსნიან. ესეც ერთგვარი წინსვლა და პროგრესია, ვინაიდან ყმაწვილობაში თუ კაცს სისულელე მოუვიდა, ჭაბუკობაში უნდა გაასწოროს. ასე მოქცეუ-

---

*) იხ. „კვალი“ № 16.

ლა ლანჩხუთის შემნახველ-გამსესხებელი საზოგადოების კრებაც. მას 9 მარტის კრებაზე გაუუქმებია ათი თებერვლის კრება. ე. ი. სულ ერთი თვის შემდეგ უარ უყვია ის, რასაც ბეჭედი დააკრა ერთი თვის წინეთ. რომელი კრება უფრო სამართლიანი იყო, ათი თებერვლისა, როდესაც გამგეობის წევრებს სასყიდელი დაენიშნათ თუ 9 მარტისა, რომელმაც გააუქმა ეს დადგენილება, ეს გამოირკვევა იმავე ლანჩხუთში, როდესაც ამხანაგობა კიდევ ერთი თვის შემდეგ მოახდენს კრებას და გააუქმებს კვლავ წინანდელ ყველა კრებებს. აი ამას ქვია უსაქმო კაცის „მახათობია“!

ყოფილა აგრეთვე ერთნაირი ხელობა, რომელსაც გაჩუქ-გამოჩუქება ქვიან. ამ ხელობას იმავე ლანჩხუთში ასწავლიან თურმე. როგორც მოგვითხრობს ჩვენი კორესპონდენტი, იმავე ამხანაგობას ცხრა მარტის კრებაზე უკანვე წამოუღია თეატრის და სამკითხველოს შენობის სასარგებლოთ 1900 და 1901 წლებში გადადებული ფული! რათ მოქცეულა ეს ამხანაგობა ასე, ამას აგვიხსნის მადა ქანქარისადმი, ხოლო ვინ ატანდა ძალას იმავე ამხანაგობას მოეტყუილებია თეატრი და სამკითხველო, ამას კი განგვიმარტავს ესრეთ წოდებული: „ლანჩხუთელების აბრუნდ-დაბრუნდის კოდექსი“.

* * *

ასეთი სენი წამოჰპარვია ს. სურების შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობასაც. მათაც მოუწადინებიათ 28 მარტის კრებაზე 18 თებერვლის კრების გაუქმება. რათა? რათა და მიტომ, რომ ყოფილა ვინმე წევრი ბლაღოჩინი ნ. რამიშვილი, რომელსაც ასე მოუსურვებია და თავისი სურვილიც არა საკადრისათ მოუხვევნია თავზე სხვებისთვინაც. რამდენიმე უწიგნო კაცისთვის მოუწერინებია ხელი მოტყუებით განცხადებაზე, რომლითაც თხოულობდა აღნიშნულ კრების გაუქმებას. ეს გამომჟღავნდა 23 მარტის კრებაზედვე და გულახდილათ აღიარეს ყველამ, როგორ მოატყუათ იგინი მ. ნ. რამიშვილმა. აი გმირი, რომელიც არ დარიდებია საშუალებას, რა გვარიც უნდა ყოფილიყო იგი, მიზნის მისახწევათ. და მიუხწევია კიდეც მიზნისთვის: საზოგადოებას გამოუძევებია იგი წევრობიდან. მისთვისვე მიუყოლებიათ ირაკლი რამიშვილიც და მით დამცხრალა აბობოქრებული ზღვა შემნახველ-გამსესხებელი საზოგადოებისა. ერთი სიტყვით, სურების საზოგადოება გადარჩენილა აბრუნდ-დაბრუნდის.

* * *

დაუზარებელი ხალხი ყოფილა ჭიათურაშიაც. ეს გამოირკვა იქაური ბანკის კრებაზე. პირველი გულს-მოდგინება და დაუზარებლობა ეკუთვნის ბანკის გამგეობას. მას მიუღია შრომა და საზოგადოების დაუკითხავათ წაუმატებია თვისი ჯამაგირისთვის. თითოეულს მოუმატებია 1,200 მანეთიდან 2000-მდე. რაც შეეხება 26 მარტს მომხდარ კრებაზე ზოგიერთ გულწრფელ პირების სამართლიან შენიშვნას, ესეც დაუზარებლივ მოუშორებიათ თავიდან. ადგომ-დაჯდომით გადაუწყვეტიათ კანონიერება თვისი მადისა. მიუხედავათ სამართლიანი პროტესტისა ვაჭრების მხრივ—კენჭით იქნას ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებული და კენჭითვე დირექტორგამგეობის ამორჩევა, ესეც ადგომ-დაჯდომიას გადაუწყვეტია. ერთი სიტყვით, ყველაფერი მიუნდვიათ ადგომ-დაჯდომიასთვის, ვინაიდან წყეულ ყუთებში არა ჩანს მტერი. ხოლო ამგვარები კი ბევრი ყოფილან, მაგრამ ბრძანებელ გამგეობის წინ შეკვრიათ კრიჭა.

კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაუტარებია თავად კიტა აბაშიძეს სარევიზიო კომისიის მოხსენება, მას მოუსურვებია დამტკიცებინა, რომ გამგეობა განუსაზღვრელი ბატონი უნდა იყოს საზოგადოებისა, მასვე დაუმტკიცებია, რომ თუმცა ჩვენი გამგეობა, წელიწადში ორჯელ არ ვგამგეობთ ბანკში, მაგრამ რადგანაც დავდიართ ჩვენს საქმეზე პირველი კლასის ვაგონით და ამასთანავე ჩვეულნი ვართ რიგთ—ჭაბ.სმაცა მას, საჭიროა 2.000 მანეთი მოგვცეთ ფულიო, ხოლო ბუხგალტერს, კასირს, მის თანაშემწეს და მწერლებს 4.000 მანათი ეკმარებათო. სამ უსაქმოს 6000 მანათი და საქმის მკეთებელ რამდენსამე კაცს 4.000. აი სიმართლე, რომელიც აღმოცენებულა შავიქვის მრეწველთა ნიადაგიდან („კვ.“ № 16).

* * *

არა ერთითა ფულითა ცხონდების კაცი, ამიტომ დავანებოთ ჩვენც მაზე ლაპარაკს თავი და ვიზრუნოთ სულისათვისაც. უპირველესი წყარო კი სულის გასასპეტაკებლათ, გრძნობის გასაფაქიზებლათ, და სიბრძნის შესაძენათ ქვარიანის ლექსთა შემდეგ მისივე ახლახან გამოსული რომანია: „ვიზიტი“. ავტორი ამ დიად ჯილდოს უძღვნის „ჩვენს ქალებს“ და კარგათაც უფიქრია, რადგან ეს გამოცემა ხელ-უხლებლივ და ფოთლებ გაუჭრელი გადაეცემა მომავალ თაობას. სამწუხარო კია, სწორე მოგახსენოთ, შეუნიშნავათ დარჩეს ეს გენიალური ნაწარმოები აწმყოსათვის. ამიტომ მე ვიღებ შრომას, რომ გავაცნო იგი მკითხველებს.

ქვარიანის ქალები, ხომ მოგეხსენებათ, ყველანი „ზილფოვანნი, ფშვიადნი და ფუნთუშანი“ არიან. აქაც არ უმტყუნია ავტორს თვისი ფანტაზიის ყალიბისთვის და აი ის გვიწერს „ვიზიტებში“ სწორეთ ასეთსავე ანგელოზს. ქალს ნატაშა ქვიან.

იხილე მკითხველო ჯერ ნატაშას საწოლი: „ოთახში სუფევს საოცნებო დუმილი. ჟასმინის და ვიოლეს სურნელს შერევია ქალწულის სხეულის სასმო ფშვიადი (გესმით „სხეულის სასამო ფშვიადი“, რა სურნელებაა!) და დაუთვრია ჰაერი რაღაც სანეტარო არომატით (სხეულის ფშვიადს!), რომელიც ისე უცნაურათ ულიტინებს ნერვებს და იწვევს უნებლიეთ გიჟ სურვილებს“.

იხილეთ ახლა თვით ფშვიადი სხეულის ქალი: „ქალი წევს ისევ ლამით ლოგინში და ფშვინვარებს ნელა (ფშვინვარებს ახსნილია ქვარიანის ლექსთა ლექსიკონში). დასოსები ალისფერი საბანი და პერანგიდან მოჩანს თეთრი ფუნთუშა მხრები, რომელიც ვერ დაუფარავს ზილფოვან თმას. დამკვირვე თვალი შენიშნავს მარჯვენა ბეჭის ფრთაზე ბუსუსა ხალს, რომელიც თითქო იყურება მორცხვათ ზეთ გადაშლილი თმის ბეწვებიდანო“.

ეს ლოგინში. აბა ახლა იხილეთ იგივე ქალი საცვლებში სარკესთან: „ქალი წამოხტა უცებ და მიცქრიალდა განჯინის დიდ სარკესთან. მთელი მისი ნაკვთი (ქალის ნაკვთი!) გამოისახა შიგ. ქორფა სხეული მომხიბლავათ მოსჩანდა ბატისტის თეთრ პერანგიდან, რომელიც ამოებერა სამაცდუროთ პუნტულა (!) კოკობებს. შავი ზილფოვანი (აკი მოგახსენეთ, უეჭველათ ზილფოვანი იქნება!) თმა ეყარენ (თმა ეყარენ!) მხრებზე პოეტურ უდარდელობით“ (ნეტა ქვარიანს რომ, როგორც პოეტს, დარდი არ ექნება!) ქალი, ე. ი. ნატაშა სარკესთან „ხან გამოსახავდა ღიმილს, ხან აიწევდა პერანგს (ღმერთო, შენ აპატიე!) და გამოიჩენდა თეთრ კუნთებს, ხან შემოიყრიდა ლოინჯს წელზე და მიიღებდა მამაცურ შეხედულებას და სხ... (ნეტა საიდან ზვერავდა ამ დროს ქვარიანი?).

აი სწორეთ ამ დროს შემოვა ნატაშასთან მისი გამდელის ქალიშვილი კატო. ქალები გაეთამაშებიან ერთმანეთს და „გამწარებული კატო სამაგიეროთ შემოკრავს ნატაშას

ხელს დბილ ადაგას (!!) ისე, რომ მისი ტკაცანი მთელ სახლში გახმაურდება“.

ხომ ნახეთ, ბატონო მკითხველო, ქვარიანის ნატაშა მწოლარა და ფეხზედაც, საბან ქვეშ და სარკესთან. აი სწორეთ ეს ნატაშა ელის ერთ ყმაწვილ კაცის ვიზიტს და ის წყეული კი არ მოვიდა. მაშასადამე, აქ უნდა გათავებულიყო რომანიც და თავდება კიდეც, ხოლო ის, რაც უნდოდა ეთქვა ქვირიანს, მან თქვა ლოგინში და სარკესთან და აი სწორეთ ამას უძლვნის „ჩვენს ქალებსაც“. რომელი მორევიდან გამოცურებულა მისი ფანტაზია ეს მკითხველისთვის მიგვინდვია.

ვითარცა ბანოვანთა აღწერა, აგრეთვე მშვენიერი ენაც აქვს ავტორს აი მისი ნიმუშებიც: „ფშვიადი, ფშვინვარებს, ზილფოვანი, შათირი' შიმანაური, ნერბო (ცხვირს ეძახის) დანტროული“ და სხვა.

ერთ ადგილს თურმე „აერში გამდნარიყო რთველის სურნელი და ძრავდა ნერვებს“ (ახ, ნეტავ ქვარიანი დაეძრა).

კიდევ, კიდევ ერთი ნაგავი მოემატა ქართველთა წიგნის ბაზარს.

ხოლო ამაზე წინ გამოსულა და შემთხვევითვე შევხვდე ვინმე ნატალია გიგაურის „ფანტაზია“ ქვარიანი თუ სცოდავს, ეს სამაგიეროთ ინანიებს. პატივცემულ ავტორ ქალს სძინებია და უნახავს ძილში სამოთხე და ჯოჯოხეთი. თურმე თავის თვალით უყურებდა როგორ იტანჯებოდენ ცოდვილნი და მართალნი კი ხარობდენ ანგელოზებთან. ყველა ეს მოთხრობილია იავნანას კილოთი.

მაგრამ რომ არ დაეძინა ქ-ნ ნატალიას. იქნებ ცხადათ ნახავდა დედამიწაზედაც ჯოჯოხეთს.

სულ სიზმრების ბრალია!

* * *

აგერ ეს ერთი ხანია თფილისის ქართული და რუსული პრესა ერთ ფრიათ მწვავე და საზოგადოებრივ საკითხს არკვევს. მათ თუმცა ყოველ მხრივ გამოიკვლიეს საგანი, მაგრამ მაინც ბევრი დროა კიდევ საჭირო, რომ დასდონ უტყუარი მსჯავრი და გამოაცხადონ საქვეყნოთ თავისი შრომა. საქმე შეეხება ნიკიტინის ცირკის მოჭიდავე მოორს, ქართველ მოჭიდევე რუსიშვილს და სომეხ მოჭიდავე გლდანელს. რეცენზიები ყოველ დღე იბეჭდება „ივერიაში“ და „ცნობის ფურცელში. საკვირველია, რომ მხოლოდ ამ კითხვაში შეთანხმდენ ეს ორი გაზეთი და ორივემ კი ერთათ იპოვეს ის წერტილი, რომლითაც დაუმტკიცეს სომხებს სალიდარობა კავკასიელმა ფალავნებმა, რომელთაც რამდენჯერმე დაამარცხეს მოორი, გადაწყვიტეს ის მწვავე საკითხი, რომელიც შეეხებოდა „ივერიის“ კბილების ლესვას სომხებზე. გლდანელმა და რუსიშვილმა დასცეს მოორი. ეს საკმარისი იყო რომ აღეარებიათ, რომ ყოჩაღები ვართო სომეხნიც და ქართველებიც. მაშასადამე, მეგობრებიც უნდა ვიყვეთ ამიერიდან. გმადლობთ ნიკიტინის ცირკო, რამეთუ შენ და მხოლოდ შენ გადასწყვიტე ქართველ-სომეხთა საჭირბოროტო კითხვა.

* * *

თუ რამდენათ გულმოდგინენი არიან რკინის გზის აგენტები თავის სამსახურში ამას მოგვითხრობს გაზ. „ვოსტოჩ. ობოზ.“ ამასთანავე გაზეთი ირწმუნება, რომ ფაქტი სრულებით მართალიაო: რკინის გზის ერთ აგენტს წერილობითი მოხსენება წარუდგენია უფროსთან: „მოვახსენებ თქვენს მაღალ-კეთილშობილებას, რომ 1215 ვერსტზე მე შევნიშნე შეისრე ეფიმი გოვორკოვი, რომელიც კოცნიდა ერთ ქალს, ვისი ვინაობაც ვერ გავიგე. მაქვს რა მხედველობაში, რომ კოცნას საზოგადოთ თანა სდევს ძალის დაკარგვა, და რომ ხსენებულმა შეისრემ დაარღვია თქვენი განკარგულება, მოიხმარა რა თვისი ფიზიკური ძალ-ღონე მავნეთ და საზარალოთ რკინის გზისა. მე იგი დავაპატიმრე. ველი თქვენს განკარგულებას“.

ნეტა დააპატიმრა თუ არა ქუთათური მასწავლებელი თავისმა მთავრობამ, როდესაც მან წარსულ წელს ბოროტათ მოიხმარა ერთ „ვეჩერზე“ ამავე გვარათ თვისი ფიზიკური ძალ-ღონე.

რიგოლეტო.

---

* * *

ცამ სხივი მტყორცნა კონათა
და გული შემიფანცქალდა,
დამქროლა ტკბილმა ნიავმა,
ეკალი გაკაფ-გაწალდა.

რაც მტარვალთ ხელმა დაამხო,
შემწიკვლა, გაანადგურა,
კვლავ აღადგინა მან, რა კი
ჩემს გულში დაისადგურა.

კვლავ შემიკრიბა ძალ-ღონე
გაფანტულ-გაქსუებული
და გამიწვია საომრათ
ხელ მახვილმოღერებული.

თანვე ჩამძახა: პირწმინდათ
დავიცვათ ჩვენი ვალიო,
მოვიახლოვოთ, შორს რომ ვჭვრეტთ,
ბრწყინვალე მომავალიო.

ხელი ხელს გაყრით წინ წავდგეთ,
მე მიგულებდე ფარადო
მტარვალთა ასალაგმავათ
ჩაგრულთა დასაფარადო!

გავიტანთ, ერთათ გავიტანთ
ცხოვრების ველზე ლელოსო!...
დე, ჩვენმა ნამუშაკევმა
გვახსენოს, გვასახელოსო!...

მტარვალთა გუნდი ვაქციოთ
საქარ-ნიავო ფერფლათო!
მაგრამ, იცოდე, რომ თავი
უნდა შესწირო მსხვერპლათო!...

მეც დასტურს ვაძლევ ამ ტკბილ ხმას,
ამასვე ვამბობ ენითა
და წინ ვისწრაფვი სადლაცა
ტკბილ სანეტარო რწმენითა!..

დ. თომაშვილი.

ა ზ რ ი

(გაგრძელება *).

ფურცელი მეშვიდე.

წინა ფურცელში მე ბევრი უსარგებლო და ზედმეტი რამეები დავწერე, რაც სამწუხაროთ უკვე მიღებულიც გექნებათ და წაკითხული კიდეც. ვშიშობ, რომ იმ წერილმა

---

*) იხ. № 15.

თქვენ შეცდომაში არ შეგიყვანოთ და ჩემ გონებრივ მდგომარეობაზე სხვაფერ არ შეგახედოთ. მაგრამ მე იმედი მაქვს თქვენი ცოდნისა და გამოცდილებისა, ბ.ბ. ექსპერტებო და ამიტომ გენდობით.

ახლა თქვენ უკვე უნდა იცოდეთ თუ რა სერიოზულმა მიზეზებმა მაიძულეს მე, დ-რი კერჟენცევი, ამეხსნა სრული სიმართლე საველოვის სიკვდილის შესახებ. და თქვენ ადვილათ მიხვდებით და დააფასებთ იმას, როცა ვიტყვი, რომ მე ამ წუთას არ ვიცი—ვიგონებდი სიგიჟეს, რომ სიკვდილისთვის კანონიერი სასჯელი ამეცილებია, თუ მოვკალი იმიტომ, რომ გიჟი ვიყავი. იმ ღამინდელი ჯოჯოხეთი გაქრა, მაგრამ თავისი ცეცხლის კვალი დასტოვა. აღარ არის ის სულელური შიში, მაგრამ არის საშინელება იმ კაცის, რომელმაც ყველაფერი დაკარგა, არის შეგნება დაცემის, დაღუპვის, თავის დატყუების და გამოურკვეველობის.

თქვენ, სწავლულები, ბევრს იდავებთ ჩემზე. ზოგი იტყვით, რომ გიჟი ვარ, ზოგი, რომ არა ვარ გიჟი, მხოლოდ დეგენარაციის ზოგიერთი ნიშანი ეტყობაო. მაგრამ თქვენი ცოდნით, ჩემსავით მაინც ვერ დამტკიცებთ თქვენ ვერც იმას, ვითომც მე გიჟი ვიყო, ვერც იმას, რომ არ ვიყო. ჩემი აზრი დამიბრუნდა მე და, როგორც თქვენ დარწმუნდებით, იმას არც ძალა აკლია, არც სიმკვეთრე. ზედმიწევნით ნათელი და ენერგიული აზრია მტერსაც უნდა მოექცეთ ღირსებისადაგვარათ.

მე გიჟი ვარ. ხო არა გსურთ იმის გაგება თუ რატომ?

პირველათ ამას ჩემი შთამომავლობა ამტკიცებს, ის შთამომავლობა, რომელიც ისეთ სამსახურს მიწევდა მე ჩემი გეგმის განხორციელების დროს. ბნედა, რომელიც რამდენიმეჯერ დამემართა ბავშვობაში... უკაცრავათ ბატონებო, მე მინდოდა ეს დამეფარა თქვენთვის და ვწერდი, ბავშობიდანჯანსაღი ვიყავი-მეთქი. ეს იმას არ მიაწეროთ, რომ ამ ფაქტის დაფარვით მე ვითომც მსურვებოდეს თავის თავის დახმარება. მე მხოლოდ არ მსურდა უსარგებლო ამბებით ამევსო ჩემი წერილები. ახლა კი, როცა ვატყობ, რომ ეს საჭიროა, აკი ვამბობ კიდეც.

და ასე, შთამომავლობა და ბნედა ნათელ ყოფენ, რომ ჩემში სულიერი ავათმყოფობის ნიადაგი იყო. და ის დაიწყო ჩემდა შეუმჩნევლათ, ბევრით ადრე, ვიდრე მკვლელობას განვიზრახავდი. მაგრამ, რაგორც ეტყვ ბიუბს, მე მქონდა იმდენი მოხერხება უჭკუო საქციელი დამემორჩილებია ლოლიკისთვის. მე დავიწყე დატყუება, მაგრამ არა სხვების, არამედ თავისივე თავის. მე, გარეშე ძალით გატაცებული მივდიოდი და მეგონა, რომ ჩემით მივდივარ-მეთქი. დანარჩენი საბუთებიდან რაც გინდათ იმას ჩამოქნით, ხომ კი?

არ არის ძნელი იმის დამტკიცება, რომ ტატიანა მე სრულიად არ მყვარებია, რომ დანაშაულისთვის მე არ მქონია რეალური მოტივი, არამედ მოგონილი, ფანტასტიური. ჩემი გეგმის ახირებულებაში, გულცივობაში, რომლითაც სისრულეში მომყავდა განზრახვა, ათას სხვა წვრილმანებში ადვილათ მოჩანს იგივე გიჟური როლი; თვითონ სიმარტივე და აღმაფრენა ჩემის აზრისა, მოწმობენ ჩემს არანორმალურ მდგომარეობას.

„Такъ раненый на смерть, я циркъ забавлялъ,
Гладіатора смерть представляя“.

მე არ დამიტოვებია გამოუკვლეველათ არც ერთი წვრილმანი ჩემი ცხოვრებისა. მე გავითვალისწინე მთელი ჩემი ცხოვრება. თვითოეულ ჩემ სიტყვას, თვითოეულ ნაბიჯს, თვითოეულ აზრს მე ვაზომებდი სიგიჟის ზომას და ეს ზომა სწორი მოდიოდა. გამოდგა—საკვირველია სწორეთ, რომ თურმე იმ ღამემდიც მომდიოდა მე ფიქრათ, მართლაც გიჟი ხო არა ვარმეთქი. მაგრამ როგორღაც არ ვიკარებდი ამ აზრს, ვიბრძოლებდი, ვიშორებდი. როცა დავამტკიცე, რომ გიჟი ვარ, იცით რა დავინახე? მე დავინახე, რომ არა ვარ გიჟი. მაშ მომისმინეთ.

დიდი, ძალიან დიდი, რასაც ჩემი შთამომავლობა და ბნედა დაამტკიცებს,—ეს დეგენერაცია იქნება, მე ერთი იმ გადასაშენებლათ გამზადილთაგანი ვარ, რომლის დარი ბევრი თქვენშორისაც მოინახება ბბ. ექსპერტებო, ეს მშვენიერი გასაღებია დანარჩენში. ჩემი ზნეობრივი შეხედულება თქვენ შეგიძლიათ ახსნათ არა შეგნებული მოფიქრებით, არამედ დეგენერაციით. მართლაც, ზნეობრივი ინსტინქტები ისე შორს არიან ჩამარხულნი, რომ მხოლოდ ნორმალური ტიპების გვერდის ახვევით შეიძლება იმათგან თავის დახწევა. და მეცნიერებაც, ჯერ კიდევ ძალიან გაბედული თავის ჰიპოტეზებში, ყველა ასეთს გვერდის ახვევას აწერს დეგენერაციას, თუ გინდ ფიზიკურათ ადამიანი ისე იყოს აგებული, როგორც აპოლონი და ჯანმრთელი, როგორც უკანასკნელი იდიოტი. მაგრამ დაე აგრე იყოს, მე არაფერი არ მაქვს დეგენერაციის წინააღმდეგი—იმას შვენიერ კამპანიაში შევყავარ.

არც ჩემი დანაშაულის მოტივის დაცვას შეუდგები. გულწრფელათ ვამბობ, რომ ტატიანამ მე მართლაც შეურაცხმყო თავისი სიცილით და ეს შეურაცხყოფა ძლიერ ღრმათ ჩამეჭედა გულში. მაგრამ დაე ნურც ეს არის სიმართლე, დაე ნურც სიყვარული მქონდა მე, განა ეს არ შეიძლება, რომ ალექსის სიკვდილით მე ჩემი ძალის გამოცდა მინდოდა? ზოგიერთი ხომ მიდიან მიუწდომელ მთის წვერში მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მწვერვალი მიუწდომელია იმათ ხომ ხომ არ ეძახით გიჟებს? ვერ გაბედავთ ხომ თქვენ გიჟი უწოდოთ ნანსენს, ამ გასული საუკუნის უდიდებულეს კაცს? ზნეობრივ ცხოვრებასაც აქვს თავისი პოლიუსები და ერთი იმათგანის მიღწევა ვცადე მე.

თქვენ გაოცებს არ ყოფნა ეჭვიანობის, შურის, ანგარების და სხვა ასეთი სულელური, უაზრო მოტივების, მხოლოდ ესენი თქვენ გგონიათ თქვენი ნამდვილი და რეალური მამოძრავებელი ძალა, მაგრამ ამისდა მიხედვით თქვენ, მეცნიერებმა, უნდა დაგმოთ ნანსენიც, დაგმოთ უნდა იმ ველურ და ბრიყვებთან ერთათ, რომლებიც სიგიჟეს აწერენ მის საქციელს.

ჩემი გეგმა... ის იყო იშვიათი, ორიგინალური, ის იყო გაბედული და განა გონიერიც არ იყო ის ჩემ მიერ დასმული მიზნისდა მიხედვით? და სწორეთ ჩემი მიდრეკილება ცბიერებისადმი მასწავლიდა მე ჩემ პლანს. აზრის აღმაფრენა—მაგრამ ნუთუ გენიოსობა მართლაც სიგიჟეა? გულცივობა—მაგრამ რატომ მაინცადამაინც უნდა კანკალობდეს მკვლელი? ლაჩარი ყოველთვის კანკალებს, მაშინაც კი, როცა ის თავის გოგოს ეხვევა და გაბედულობა—განა სიგიჟეა? მერმე როგორ ადვილათ იხსნება ჩემი საკუთარი აზრი, რომ საღი ადამიანი ვარ. როგორც ნამდვილი მხატვარი, როგორც არტისტი, მე ძლიერ ღრმათ წავედი როლში, დროებით შევესისხლხორცე მას და ერთი წუთით დავკარგე თავისადმი ანგარიშის მიცემის ნიჭი. განა შეგიძლიათ იმის თქმა, რომ ნამდვილ არტისტთა შორის არ ერიოს ისეთი, რომელიც ოტელოს თამაშის დროს მართლაც არ გრძნობდეს მკვლელობის წყურვილს?

საკმაოთ დასაბუთებულია ხომ ბ-ნო მეცნიერებო! მაგრამ გრძნობთ თუ არა თქვენ ერთ ახირებულ გარემოებას? როცა მე ვამტკიცებ, რომ გიჟი ვარმეთქი, მაშინ საღი ადამიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გგონივართ, ხოლო როცა ჩემ ჭკუის სისაღეს ვამტკიებ, მაშინ კი ნადვილი გიჟი.

დიახ. და ეს იმიტომ, რომ თქვენ არ გჯერათ ჩემი... არც მე ვუჯერვარ ჩემ თავს, ვინაიდან ვის უნდა ვერწმუნო ჩემში? დაცემულსა და ფუქსავატ აზრს, ცრუ მონას, რომელიც ყველას ემსახურება? ის წაღების საწმენდათ ვარგა და მე კი მეგობრათ, ღმერთათ გავიხადე ის. ძირს ტახტიდან, შე საბრალო და უღონო აზრო!

ვინა ვარ, ვინ მე, ბბ. ექსპერტებო, გიჟი თუ ჭკვიანი?

მაშო, კარგო ქალო, შენ იცი რაღაც, რაც მე არ ვიცი—მასწავლე ვის ვთხოვო შემწეობა?

მე ვიცი შენი პასუხი, მაშო. არა, არა, ის არ არის, არა! შენ კეთილი, შენ კარგი ქალი ხარ, მაშო, მაგრამ შენ არ იცი არც ფიზიკა, არც ქიმია, შენ არაოდეს არ ყოფილხარ თეატრში და აზრათაც არ მოგსვლია, რომ ის, რაზედაც შენ დადიხარ, ბრუნავს. ის კი ბრუნავს, მაშო, ბრუნავს და მასთან ვბრუნავთ ჩვენც. შენ ბავშვი ხარ, მაშო, სულელი არსება, თითქმის მცენარე, და მე შენ შეგნატრი, იმდენათ შეგნატრი, რამდენათაც მეზიზღები.

არა, მაშო, შენ ვერ მომცემ პასუხს და არც იცი რამე, არა, ტყუილია? შენი უბრალო სახლის ერთ-ერთ ბნელ სარდაფში ცხოვრებს ვიღაც შენთვის ძლიერ სასარგებლო, მაგრამ ასეთი სარდაფი მე ცარიელი მაქვს. „ის“ დიდი ხანია მოკვდა, ვინც იქ ცხოვრებდა და მის საფლავზე მე მორთული ძეგლი დავდგი. ის მოკვდა, მაშო, მოკვდა და ადარ ადგება.

მაშ ვინა ვარ მე, ბბ. ექსპერტებო, გიჟი თუ ჭკვიანი? მაპატიეთ, რომ აგრე უზრდელათ ჩაგციებივართ ამ კითხვას, მაგრამ თქვენ ხომ „მეცნიერების ხალხი“ ხართ, როგორც მამა ჩემი გეძახდათ, როცა თქვენი მოფერება სურდა, თქვენ გაქვთ წიგნი, გაქვთ სწორი და ნათელი აზრი. რა თქმა უნდა, რომ ნახევარი თქვენგანი ერთ აზრს დაადგება, ნახევარი მეორეს, მაგრამ გარწმუნებთ, ბ-ნო მეცნიერებო, რომ მე დაგერწმუნებით თქვენ, მაშ თქვით და... თქვენი განათლებული ტვინის მომშველათ მოვიყვან ერთ საყურადღებო ფაქტს.

ერთს წყნარსა და მშვიდ საღამოს, როცა მე ოთხ კედელ შუა ვიმყოფებოდი, მაშოს სახეზე რაღაც შიშისა, დაბნეულობის და ძლიერ რამესადმი მორჩილების გამომეტყველება შევამჩნიე. შემდეგ ის წავიდა, მე კი ჩამოვჯექი გაშლილ ლოგინზე და დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ რა მინდოდა მე იმ დროს. და მე კი მინდოდა საშიშარი რამეები. მე, დოქტორ კერჟენცევს, მსურდა ღმუილი, ყვირილი კი არა, ღმუილი, როგორც აი იმ შეშლილ, მსურდა ტანსაცმელის შემოფხრეწა და სახის დაკაწრვა. მსურდა ჩამეჭიდა პერანგის საყელოში ხელი, დამეწია ის, ჯერ ნელა, სულ ნელა და შემდეგ კი უცბათ—ფხრიწ—ბოლომდე გაფხრეწა. მსურდა მე, დ-რ კერჟენცევს, პირდაღმა გაწოლა და ხოხიალი. გარეშემო კი იყო სიწყნარე, მხოლოდ თოვლი აკაკუნებდა ფანჯარაზე და სადღაც კუთხეში მაშო ლოცულობდა. მე დიდხანს ვფიქრობდი, თუ რა მექნა. ღმუილი ხმაურობას ასტეხდა და „სკანდალი“ გამოვიდოდა. პერანგი შემომეგლიჯა—მეორე დღეს შენიშნავდენ. სრულიად გონიერათ მოვიქეცი, რომ მესამე ავირჩიე: პირდაღმა ხოხიალი. არც არავინ გაიგონებდა და თუ ვინმე დამინახავდა, ვეტყოდი, რომ აგლეჯილ ფოლაქს ვეძებმეთქი.

სანამ მე ამ ფიქრებში ვიყავი, კარგიც იყო და სასიამოც, ასე რომ მახსოვს, სიამოვნებით ფეხების ბღარტუნიც კი დავიწყე. მაგრამ უცებ ვიფიქრე:

—რატომ უნდა ვიხოხო? განა მართლა გავგიჟდი?

შემეშინდა და უცებ ყველაფერი ერთათ მომინდა: ხოხვაც, ღმუილიც, კაწრვაც—მე გავბოროტდი.

—შენ ხოხვა გინდა? ვკითხე მე, მაგრამ „ასეთ ტემდა“ „მას“ აღარ უნდოდა.

—არა, ხომ გინდა ხოხვა? ვაძალებდი მე.

—მაშ იხოხე!

მე დავიმოკლე სახელოები, შევდექი ოთხზე და გავხოხდი. როცა ჯერ კიდევ ნახევარი ოთახი არ მქონდა შემოვლილი, მე ამიტყდა სიცილი ამ სისულელეზე, იქავე დავჯექი და ვხარხარებდი, ვხარხარებდი, ვხარხარებდი.

ჯერ კიდევ ჩაუმქრალი რწმენით, რომ რაიმეს ცოდნა შეიძლება, მე ვფიქრობდი, რომ ჩემი „გიჟური სურვილების წყარო ვნახემეთქი. ცხადია, ხოხვაც და სხვა ასეთები თვითშთაგონების შედეგი იყო. დაბეჯითებული ფიქრები იმაზე, რომ გიჟი ვარ, გიჟურსავე სურვილებს იწვევდენ და როცა კი ეს შევასრულე, აღმოჩნდა, რომ არავითარი სურვილი არ მქონია და, მაშასადამე, არც გიჟი ვყოფილვარ. მსჯელობა, როგორც ხედავთ, უბრალო და ლოდიკურია, მაგრამ...

მაგრამ მე ხომ ვხოხავდი? ხომ ვხოხავდი? მაშ ვინ ვარ მე, გიჟი, რომელსაც ჭკვიანი მინდა ვიყო, თუ ჭკვიანი, რომელიც განგებ ვიგიჟებ თავს?

დამეხმარეთ თქვენ, მალალ-გონიერნო გვამნო! დაე თქვენმა ავტორიტეტმა გადახაროს სასწორი ამა თუ იმ მხარეზე და ახსნას ეს საზარელი კითხვა! მაშ მე გიცდით...

ამაოთ, ოჰ, ჩემო ძვირფასო ბაყაყებო, განა თქვენ „მე“ არა ხართ? განა თქვენ ჭალარასა და მელოტ თავში იგივე ბინძური ადამიანის აზრი არ მუშაობს? განა ყოველთვის ცრუ, ცვალებადი და მოჩვენება არ არის ის? და რით ჯობია თქვენი აზრი ჩემსას? თქვენ დაიწყებთ მტკიცებას, რომ მე გიჟი ვარ, მე დავამტკიცებ ჩემს ჭკუის სისაღეს, დაიწყებთ მტკიცებას, რომ არა ვარ გიჟი, მე დავამტკიცებ ჩემს სიგიჟეს. თქვენ იტყვით, რომ არ შეიძლება ქურდობა, მკვლელობა და დატყუება იმიტომ, რომ ეს უზნეობა, გარყვნილება და დანაშაულია. მე კი დაგიმტკიცებთ, რომ შეიძლება ქურდობაც, მკვლელობაც, ძარცვაც და რომ ეს სრულიად არ არის უზნეობა, თქვენ დაიწყებთ აზროვნებასა და ლაპარაკს, მეც ვიაზროვნებ და ვილაპარაკებ, ჩვენ ყველანი ვიქნებით მართალი და მტყუანი არავინ არ იქნება. მაშ სად არის მსაჯული, რომელსაც შეეძლოს ჩვენი გასამართლება, ვინ ნახავს ჩვენში მართალ მხარეს?

თქვენ დიდი უაღრესობა გაქვთ: დანაშაული არ ჩაგიდენიათ, სამართალში არ ხართ მიცემული და მოწვეული ხართ რიგიანი სასყიდლით, რომ გამოარკვიოთ ჩემი სულის მდგომარეობა. და ამიტომ მე გიჟი ვარ. წარმოვიდგინოთ, რომ აქ თქვენ დაგაჯინეს, პროფესორო დეემბიციკი, და მე კი თქვენ ყურის მგდებლათ მიმიწვიეს. მაშინ გიჟი იქნებოდით თქვენ და მე კი დიდი ფრინველი—ექსპერტი, მატყუარა, რომელიც იმით განსხვავდება სხვა მატყუარებისაგან, რომ ფიცის ქვეშ ტყუა.

მართალია თქვენ არავინ მოგიკლავთ, არც გიქურდნიათ, როცა ეტლს ქირაობთ წინდაწინვე ურიგდებით ფასზე, რაიც ამტკიცებს, რომ თქვენ საღი ჭკუისანი ხართ, არა ხართ გიჟი, მაგრამ, შეიძლება მოხდა სრულიად მოულოდნელი ამბავი...

უცბად ვნახოთ, რომ თქვენ თავში გაგირბინათ სულელურმა და გაუფრთხილებელმა აზრმა: გიჟი ხომ არა ვარ მე? ვინ იქნებით თქვენ მაშინ, ბ-ნო პროფესორო? ხომ ასეთი სულელური ფიქრია, მაგრამ აბა სცადეთ იმის განდევნა! თქვენ რძეს სვამდით, რომელიც წმინდა რძე გეგონათ და

უცბათ გითხრეს, რომ წყალი ურევია შიგო. გათავდა რძე აღარ არის წმინდა რძე.

თქვენ გიჟი ხართ. არ გნებავთ ოთხზე სიარული? რა თქმა უნდა, არა, ვინაიდან, რომელ ჭკუასალ ადამიანს სურს ეს? მაგრამ მაინც ხო არ გებადებათ, ისე მაინც, სულ პაწაწკინტელა სურვილი, სასაცილო სურვილი, ერთი ჩამოხტეთ სკამიდან დი ცოტა ხანს იხოხოთ? რა თქმა უნდა, არა, საიდან უნდა დაებადოს ასეთი აზრი კაცს, რომელმაც ჩაი დალია და ცოლთან ილაკარაკა მაგრამ, ბატონო დეკამბიცკი, განა შეუძლია ვისმე თქვენი დამაგრება, თუ თქვენ მოგესურვათ ხოხვა?

არავის!

მოითმინეთ კი ჯერ ხოხვა. ჯერ კიდევ მჭირიხართ, ჩემი ბრძოლა ჯერ არ გათავებულა.

ბ. ლომთათიძე.

(დასასრული იქნება).

ცოტა რამ სოფლის მასწავლებლებზე.

სოფლის მისწავლებელთა სასურველ ტიპს ჯერჯერობით უახლოვდებიან საოსტატო სემინარიაში კურსდამთავრებულნი. აი ამისთანა მასწავლებლებზე მექნება მე ლაპარაკი. ვინც გაცნობილია საოსტატო სემინარიის პროგრამასთან, ის დამეთანხმება, რომ იგი მეტათ ღარიბია და შეუსაბამო აწმყო ცხოვრების მრავალგვარ მოთხოვნილებასთან. აღნიშნული პროგრამის კეთილსინდისიერ შესრულებას შესაძლოა რაიმე სინათლე მიენიჭებინა მომავალ „სოფლის ლამპრისთვის“ ამ ორმოცი წლის წინათ, მარამ ახლანდელი გართულებული ცხოვრება, მისი თითქმის გიგანტიური ზდა მოითხოვს სოფლის მოღვაწიდამ „პონომარის“ ცოდნას კი არა, გაცილებით მეტ ერუდიციას. გადაჭარბებული არ იქნება, რომ ვსთქვათ: საოსტატო სემინარიის პროგრამა, გარდა მეთოდიკისა და პედაგოგიის „ნაფლერთებისა, ზედ გამოჭრილია ორკლასიანი შკოლებისთვის. ლიტერატურა, ისტორია, ბუნებისმეტყველება— აი ის საგნები, რომლებითაც შეუძლიათ გაუფართოვონ ჰორიზონტი სემინარიის მოწაფეს, გაუსპეტაკონ და გაუშინაარსიანონ მას შემეცნება კაცზე, საზოგადოებაზე და ბუნებაზე. მარამ, საუბედუროთ, სემინარია ყველა აღნიშნულ საგნებს აწვდის თვის მოწაფეებს ჰომეოპატიური დოზით; უკანასკნელი მეთოდით ხელმძღვანელობა კი როგორც წამლობაში, აგრეთვე აღზრდა-განათლებაში მეტათ ფუქსავატია. რომ ლიტონი არ იყოს ჩემი ნათქვამი, მოვიყვან მაგალითს: მთელი კურსის განმავლობაში შეგირდები არჩევენ: გოგოლის „Старосвѣтскіе помѣщики“-ის, პუშკინის „Полтава“-ის. ნაწყვეტებს, ლერმონტოვის „Мцыри“-ს და სხვა რამდენსამე წვრილ მოთხრობებს ლ. ტოლსტოისას. კლას გარეთ შეგირდები კითხულობენ მხოლოდ იმ წიგნებს, რომლებიც ნებადართული არიან პედაგოგიური კრებიდამ. აღნიშნულია წიგნების სიიდამ განდევნილი არიან როგორც ახალ ბელეტრისტთა, პუბლიცისტთა და კრიტიკოსთა ნაწარმოები, აგრეთვე დობროლიუბოვის, პისარევის, ბელინსკის (გარდა VIII ტომისა), შელგუნოვის, რეშეტნიკოვის, პომიალოვსკის, პისემსკის და სხვა მაგვარ მწერალთა ნაწარმოებში. შეგირდებს ურჩევენ წაიკითხონ ფონვიზინი, დერჟავინი, ჟუკოვსკი, თომა კემპელი და ტოლსტოისა მარტო „Дѣтство и отрочество“, „Кавказскій плѣнникъ“, დოსტოევსკისა „Мужикъ Марей и столѣтняя.“ ამისთანა მასალაზე ნავარჯიშევი შეგირდი, მერწმუნეთ, ბევრს ვერას გამოიტანს, თუ სხვა წყაროებიდამ არა დაუმატა რა, მაგრამ ამისთვის საჭიროა თავისუფალი დრო, სურვილი თვითგანვითარებისა და წიგნები... სემინარია კი ამ მხრივ ვერ წარმოადგენს სასურველ პირობებს.—ისტორია და ბუნებისმეტყველება კიდე უფრო უნუგეშ[illegible]ბაშია.—უპირველესი ჩვეულება, რომელიც უნდა [illegible] შეუსისხლხორცოს ყოველმა სასწავლებელმა თვის მოწაფეს,— წიგნის კითხვის სიყვარულია, ამ მხრივ კი სემინარია თავს არ იწუხებს ან კი როდის უნდა იკითხონ შეგირდებმა წიგნები, როდესაც მოვალენი არიან ისწავლონ სადილის შემდეგ „ручной трудъ“, მებაღეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, წიგნების კაზმა, გალობა, „დუხოვაიას მუზიკაზე“ დაკვრა და სამხედრო მარშიროვკა და მრავალი სხვა. რასაკვირველია, ბედნიერი გამონაკლისი არის ხოლმე, მარამ მასში სემინარიას არავითარი ღვაწლი არ მიუძღვის. გარემო ატმოსფერა სემინარიისა იმდენად გაჟღენთილია მოწინავე იდეებით, რომ მათ გავლენას შეგირდებზე ჩინეთის კედლებიც ვერ შეაყენებენ. ეს მოკლე სხემატიური განხილვა საქმისა ნათელყოფს იმ აზრს, რომ სემინარიიდამ შეგირდს გამოაქვს ვიწროთ შემოფარგლული შეხედულობა ცხოვრებაზე და ზედმეტათ სუსტი მიდრეკილება თვითგანვითარებისა. ამისთანა მცირე საგძლით აღჭურვილი ახალგაზდა ყმაწვილი მიდის სოფელში სინათლის შესატანათ!! სოფელი წარმოადგენს ფრიად დიდ მასალას გონების სავარჯიშოთ ცოდნით აღჭურვილ კაცისთვის, მაგრამ იგივე სოფელი აბეჩავებს დაქვეითებულ კაცს, ხრწნის და უდროვოდ ასალმებს მას ინტენსიურ ცხოვრებას. ჯერ-ჯერობით ჩვენი სოფელი ხელს ვერ უწყობს კაცს დაადგეს თვითგანვითარების გზას, რადგან, გარდა წიგნების და ჟურნალ-გაზეთების უქონლობისა, სოფლის ცხოვრება მდორეა და ექსტენსიური.—ყოველ საზოგადო მოღვაწეს შემუშავებული უნდა ქონდეს ცხოვრებაში განსახორციელებელი პროგრამა, წინაამდეგ შემთხვევაში, ყოველი მისი ნაბიჯი იქნება შემთხვევითი, და მოკლებული მწყობრობას. პროგრამის შემუშავებაში პრესა დაუფასებელია, მარამ სემინარიის შეგირდს თვალით არ უნახამს არამც თუ ლიტერატურული ჟურნალები და გაზეთები, არამედ პედაგოგიური ორგანოებიც კი. მაშასადამე, მასწავლებელი, როგორც საზოგადო მოღვაწე, მოუმზადებელია, მას რჩება ერთი ვიწრო ასპარეზი—კლასი. ამ მხრივაც მასწავლებელი უფრო ხელოსანს მოგვაგონებს, ვიდრე ფართო პედაგოგიური პრინციპებით აღჭურვილ ახალთაობის განმანათლებელ რამდენიმე მეთოდიური და დიდაკტიური წესი, და ერთი-ორი პსიხო-ფიზიოლოგიური კანონი—აი მასწავლებლის „ბაგაჟი“! რაღა საკვირველია, რომ ამისთანა დაწვრილმანებული „პედაგოგი“ დაქანებულ გზაზე დგას და შეუჩერებლივ მიისწრაფის უფსკრულისაკენ. ამისთანა მასწავლებელს არ ძალუძს ისარგებლოს იმ მდიდარი მასალით, რომელსაც იძლევიან ბავშვები. მას, როგორც გონების სუსტი დისციპლინის მქონეს, არ შეუძლიან მწყობრათ დაალაგოს კერძო მოვლენები შკოლის პრაქტიკისა და გამოიყვანოს მათიდამ საზოგადო დასკვნები, ერთი სიტყვით, მოახდინოს სინტეზი. დაბოლოს ამისთანა მასწავლებელი ბეჩავდება გონებით და გაჭირვებითღა ასწავლის ბავშვებს მხოლოდ წერა-კითხვას, არამც თუ ჩვენში, რუსეთშიაც უჩივიან მასწავლებლებს, რომ იგინი ასწავლიან შეგირდებს მხოლოდ კალიგრაფიას და გრამატიკასო. ამისთანა დაწვრილმანებული „პედაგოგი“ საშუალო საუკუნეების სხოლასტიკებს უფრო მოგვაგონებს, ვიდრემდე ბავშვების აღზრდა-განვითარების კანონების მაძიებელს. ხშირად მწერლობითაც კი მსჯელობენ ამისთანა „პედაგოგები“: რომელი ასო უნდა წინ ვასწავლოთ —„ზ“ თუ „ჟ“. ამ ვაჟბატონებს ავიწყდებათ მოციქულის სიტყვები: „Буква убиваетъ, а духъ животворитъ“. მასწა-

ვლებლების საზოგადო მოუმზადებლობას ზედ ერთობა ის დიდათ შემაფერხებელი გარემოებაც, რომ ჩვენ შკოლებში აბუჩათ არის აგდებული დედა-ენა. არ მოიპოვება არც ერთი იმისთანა დარბაისელი პედაგოგი, რომელიც დედა-ენას არ აღიარებდეს ერთ უძლიერს ფაქტორათ ბავშვის აღზრდაში. ჩვენში კი ქართულ ენას არა აქვს მოპოვებული—რუსები რომ იტყვიან—„право гражданства“.—მოქალაქეობრივი უფლება. ქართველი ბავშ-ვები წსოფლის შკოლაში სამ-ოთხ წელს მარტო რუსული ენის შესწავლას ანდომებენ, ცოდნას კი ძალიან მცირეს იძენენ ამაში, რასაკვირელია, ყველაზე ნაკლებ მასწავლებელია დამნაშავე. ცნობილია, რომ რუსეთის სოფლის შკოლა, რომელშიაც სწავლება წარმოობს დედა-ენაზე, თითქმის ვერაფერს აძლევს ბავშვს,—მაშ რაღა საგძლით გაისტუმრებს თვის მოწაფეებს ჩვენი შკოლა?! უკანასკნელი ვერც ცოდნას აძლევს ბავშვს და, რაც პირველ მიზნათ უნდა ჩაითვალოს, ვერც ცოდნისმოყვარეობას უღვიძებს მას. ამას ზედ დაუმატეთ სოფლის შკოლის ვიწრო პროგრამა და მისი შეუფერებლობა გართულებულ ცხოვრებასთან და მაშინ აშკარათ წარმოვიდგენთ იმას, თუ რამდენათ სუსტი და უფერული იქნება სოფლის მასწავლებლის ღვაწლი, რომელიც მარტო კლასს ჩასჩერებია. გონებაგანვითარებული მასწავლებელი, გარდა კლასისა, მოვალეა საზოგადოებაშიაც მოქმედებდეს და იღებდეს მის ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას. თუ ცხოვრების ჩარხის უკუღმა დატრიალება არ ძალუძს არავის, მისი (ცხოვრების) აუცილებელი მსვლელობის და უკეთესი ხანის წარმოშობის ხელისშეწყობა კი შეუძლია ყოველ შეგნებულ კაცს. გამოჩენილმა მეცნიერმა, ბეკონმა სთქვა, რომ ბუნების ბატონი ის არის, ვინც ემორჩილება მის კანონებსაო. აგრეთვე ცხოვრებაში ის თამაშობს აქტიურ როლს, ვისაც შეუგნია მისი კანონები და ემორჩილება მათ. სოფლის მასწავლებელი, რომელიც დასდგომია თვითგანვითარების გზას და აულია ალღო ცხოვრებისთვის, არ არის მოკლებული საშუალებას აღნიშნოს ცხოვრებაში თვისი კვალი. ვათავებ რა ჩემ პატარა შენიშვნას, ვისურვებ, რომ სოფლის მასწავლნბელთ უკეთ შეეგნოთ თვისი კორპორატიული ჭირ-ვარამი, მწყობრათ და მედგრათ შებრძოლებოდენ ცხოვრებას, რომელიც თვის მეჯლისზე გააბატონებს მხოლოდ გამარჯვებულთ. სადღაც სმაილისმა თქვა, რომ კაცი თვითონ არის ხურო თვისი ბედნიერებისაო. ეს სიტყვები სოფლის მასწავლებლების დევიზს უნდა შეადგენდენ.

ნ. ახმეტელაშვილი.

ჟურნალ გაზეთებიდან

სწავლა-განათლების გავრცელების საჭიროება ხალხში დღეს ყველასათვის ცხადზე უცხადესია, ვინც კი ძალათ თვალს არ დაიბრმავებს და შავის თეთრისაგან გარჩევაზე უარს არ იტყვის. დღეს სწავლის გავრცელება ერთ უმთავრეს სახელმწიფო კითხვათ გამხდარა და მართველობაც აპყრობს თავის ყურადღებას ამ საკითხს. ამას წინეთ საერო განათლების სამინისტროს ჟურნალში დაიბექდა ბ. ი. ფარმაკოვსკის წერილი საერთო სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ რუსეთში. რუსეთის გაზეთები სიამოვნებით აღნიშვნენ ამ ფაქტს და განსაკუთრებით იმას, რომ ასეთი მნიშვნელოვანი კითხვა აღძრულია სამინისტროს ოფიციალურ გაზეთში და ისიც ისეთ ავტორისაგან, რომელსაც თვალსაჩანო ადგილი უჭირავს ამავე სამინისტროში. როგორც გაზეთ „Русск. Вѣд.“ გადმოგვცემს, ამ ჟამათ ბევრს საგუბერნიო სამოსწავლო საბჭოში სჯა-ბაასია ბ. ფარმაკოვსკის პროექტის შესახებ, განათლების სამინისტროს წინადადებით, ეს გარემოება გაზეთს საფუძველს აძლევს გამოთქვას, რომ ბ. ფარმაკოვსკის გამოთქმულ აზრს საერთო სავალდებულო სწავლების შეძლების შესახებ სავსებით ეთანხმება თვით სამინისტროსაც და ამით იმედი გვეძლევა მისი ახლო მომავალში განხორციელებისაო. შემდეგ „Русск. Вѣд.“-ში მოყვანილია პროექტის შინაარსი:

ბ. ფარმაკოვსკის გამოანგარიშებით, მთელს იმპერიაში საერთო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების შემოღებისათვის საჭირო იქნება 150,000 ახალი სკოლის დაარსება, რაც დაჯდება 108.430,000 მანეთი. რადგან ასეთი რთული საქმე, ამბობს ფარმაკოვსკი, ვერ განხორციელდება ერთ და იმავე დროს მთელს რუსეთში, რადგან ამისთვის არც ქონებრივი, არც ზნეობრივი ძალა არ გვეყოფა, ამიტომ განზრახულია ეს საქმე თანდათან შევასრულოთ; ამ შემთხვევაში უფრო ხელსაყრელი იქნება საქმე რუსეთის შუაგულიდან დავიწყოთ და მერე განაპირა ადგილებისაკენ მივმართოთ.

რუსეთის შუაგულს უპირატესობას ანიჭებს ბ. ფარმაკოვსკი იმ მოსაზრებით, რომ, მისი აზრით, იმპერიის ეს ნაწილი შედარებით სხვა ნაწილებთან უფრო წინ დგას განვიბით, და სავალდებულო სწავლების შემოღებას იქ უფრო აქვს ნიადაგი მომზადებული, ვინემ სხვაგან. ამასთანავე ცენტრის ეკონომიური მდგომარეობა თხოულობს დაუყოვნებლათ დახმარებას, ასეთია მისი ეკონომიური მდგომარეობა.

ბ. ფარმაკოვსკი ფიქრობს, რომ საერთო სწავლების შემოღება უნდა დაწყებულ იქმნას მოსკოვის სამოსწავლო ოლქიდან, რაც უნდა მოხდეს 10 წლის განმავლობაში. ამის განხორციელებას დასჭირდება 12.060,295 მანათი; ხოლო 10 წელიწადზე თუ განაწილდება, ყოველ წელს უნდა დაიხარჯოს 1.200,000 მანათი.

შემდეგ ფარმ-სკი ეხება იმ საკითხს, თუ ვინ უნდა იდვას თავზე ეს დიდი საქმე, ვინ უნდა მოკიდოს ხელი და გაუძლვეს წინ ასეთ საქმეს, რომელიც აუარებელ ხარჯს მოითხოვს და ასე სწყვეტს ამ საკითხს:

ახალი სკოლების გახსნა ყველგან იმპერიაში უნდა მოხდეს ხაზინის ხარჯით და არა მცხოვრებთა ფულით, რადგან უკანასკნელი გზა მეტათ გრძელია და არასაიმედო, რაც გამოცდილებამ დაგვიმტკიცა. ავიღოთ, მაგალითად, მოსკოვის სამოსწავლო ოლქი. აქაც საჭირო ფული ხაზინამ უნდა გამოიღოს, რადგან სხვა გზით არ შეიძლება შეგროვდეს ის დიდი თანხა, რომელიც დასჭირდება სავალდებულო საერთო სწავლის შემოღებას. საერობო დაწესებულებათ ნება არა აქვთ კანონით განსაზღვრულ ნორმაზე მეტი გადასახადი გააწერონ ხალხს; მოსკოვის გუბერნიის გლეხები კი დამძიმებულნი არიან აუარებელის ვალით (მარტო საკვებ თანხებისა მართებთ 15 მილიონი მან.); ქალაქის თვითმართველობანი საზოგადოთ ნაკლებ ზრუნავენ პირველდაწყებით სწავლის გავრცელებაზე და არც აქვთ იმდენი შეძლება, რომ გაუძლვენ ამ დიად საქმეს. ამგვარათ, ცხადია, საერთო სწავლების შემოღება მოსკოვის სამოსწავლო ოლქში და შემდეგ სხვა სამოსწავლო ოლქებშიაც ხაზინის ხარჯით უნდა მოხდეს.

ამნაირათ მთავარი როლი ამ საქმეში სახელმწიფოს ეძლება, უპირველესი მოვალეობა შკოლების გახსნასა და ხელმძღვანელობაში განათლების სამინისტრომ უნდა აიღოს თავის თავზე. მარა აქაც ქალაქის თვითმართველობები და ერობები არ რჩებიან უნაწილოთ, თუმცა მათი როლი ამ საქმეში არც ისე დიდია. იმათ უნდა შეინახონ უკვე მათ გამგეობის ქვეშ არსებული შკოლები და ყოველ წლივ აარსონ იმდენი შკო-

ლა, რამდენსაც აქამდი აარსებდენ, მათვე მოვალეობას შეადგენს გახსნან დამატებითი კურსები, პროფესიონალური სასწავლებლები, მოაწყონ შკოლის გარეთ დარჩენილთათვის სწავლების საქმე და ამნაირათ მხარი მისცენ განათლების სამინისტროს თავის მოქმედებით.

ასეთია ბ. ფარმაკოვსკის საყურადღებო წერილი. გაზეთები ყოველ მხრივ ეხებიან და არჩევენ ამ პროექტს და თავის მოსაზრებას გამოსთქვამენ. თავის თავათ ცხადია, რომ პრინციპიალურ მხარეს ამ პროექტისას მხოლოდ მოწონება ხვდება, მაგრამ ასეთივე მოწონებით არ უყურებენ ყველა იმ პრაქტიკულ ზომებს, რომლებითაც ბ. ფარმაკოვსკი ფიქრობს ამ დიდი საქმის განხორციელებას აი მაგალ, იგივე „Русск. Вѣд.“ რას სწერს ამის შესახებ:

> სუოგველთაო სწავლების დიად საქმის განხორციელების დასაჩქარებლათ არსებობს უფრო რაციონალური გზა ვინემ ის, რომელიც აღნიშნა ბ. ფარმაკოვსკიმ. ეს გზა გვიჩვენეს სხვათა შორის, სასოფელო-სამეურნეო საწერილებათა კომიტეტებმაც: თითქმის ყველა კომიტეტებმა საკვირველის ერთ სულოვანობით აღიარეს, რომ სუოგველთაო სწავლების საქმის მოწყობა შეიძლება მხოლოდ სახოგადოებრივ ძალთა მონაწილეობით და დახმარებით. ეს აზრი გამოსთქვეს იმ გუბერნიის კომიტეტებმაც, სადაც ერობა არსებობს და იმ გუბერნიებისამაც, სადაც ეს დაწესებულება ჯერ არ არის შემოღებული. მაგრამ, რადგანაც ადგილობრივ არ მოიძებნება საკმაო საშუალება ამ დიადის საქმის აღასრულებლათ, ამიტომ კომიტეტებმა საჭიროთ აღიარეს, რომ ადგილობრივ სახოგადოებრივ დაწესებულებათ ამ საქმეში სახელმწიფო ხაზინა დაეხმაროს. აი ამ გზით უნდა იარონ სამინისტრომ, მით უმეტეს, რომ ეს გზა ახალი არ არის მისთვის. თუ საერო განათლების სამინისტრო უნგათ მისცემს საშუალებას ადგილობრივ თვითმართველობათ (ერობასა და ქალაქებს), უეჭველია ყველგან გაცხარდება სახოგადოებრივ ძალთა მუშობა და მალე დიდ ნაყოფსაც გამოიღებს. მხოლოდ ამგვარი მუშობა, ესე იგი, შეერთებული მოღვაწეობა მთავრობისა და სახოგადოებისა შესძლებს იმ რთულის საქმის კეთილათ დაგვირგვინებას, რომელსაც უწოდებენ სუოგველთაო სავალდებულო სწავლებას.

* * *

გაზ. „პრავო“-ში დაბეჭდილია მ. პრუგავინის წერილი, რომელიც შეეხება რუსეთის მონასტრის საპყრობილეებს, სადაც ამწყვდევენ მართლ-მადიდებლობიდან გადამდგარ სექტანტებს.

ტუსაღები მონასტერში ყანდარმებსა და პოლიციელებს მიჰყავთ და მამა არხიმანდრიტს გარდასცემენ ხელმე, რომელიც მათ ხელწერილს აძლევს, ამა და ამ დღეს ესა და ეს ტუსაღი ჩავიბარეო. შემდეგ არხიმანდრიტის განკარგულებით, გაჩხრეკენ ტუსაღს, გამოართმევენ ფულს, ნივთებს, სცვლებსა და ტანისამოსს და ცოტა რამეს დაუტოვებენ ხელმე. ყველა ეს ნივთები მ. არხიმანდრიტს აბარია შესანახად. განსაკუთრებით ცდილობენ, რომ ტუსაღს რაიმე საწერი ხელსაწყო არ ჩაუვარდეს ხელში: ქაღალდი, კალმები, მელანი და სხვ. აგრეთვე წიგნებიც. მ. პრუგავინს მოჰყავს მაგალითი, რომ სამონასტრო სტუსაღოში დამწყვდეულ პატიმარს სახარებისა და ფსალმუნის კითხვაც აუკრძალეს.

ტუსაღს რომ გაჩხრეკენ, შემდეგ სტუსაღოში მიჰყავთ, სადაც პატარა განმარტოებულ სენაკში ამწყვდევენ. სენაკს ერთობ სქელი და ნოტიო კედლები აქვს: ერთი პაწია ფანჯარა აქვს რკინის მოჯირითი, მაგრამ ამ ფანჯარაში არაფერი იყოფება, რადგან მის წინ სტუსაღოს ქვის კედელია ამართული. სტუსაღო ძველი, ნოტიო და ცივია. ზაფხულს ... ბ ... ბს ხოლმე ამ სატუსაღოს, სადაც ... ...